# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 6 მარტი, 2014 წელი.

№45 (7426)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.



## ვინ და რა მართავს მსოფლიოს 4

## ანტირუსულად „დანნეხილი“ 5 ქართული ტვინი

## • რა ღირს მილიარდი? 2
## • რა ხდება, ბატონებო?

## ადვოკატ 7 გოგა ონიანს ბრალი დაუმძიმდა



## ცხოვრებას 3 ნუ მასწავლით, უმჯობესია, მატერიალურად დამეხმაროთ!

ნაციონალები და „უდარი“, ანუ დარტყმა

# იმ ერთი ძაღლისა არ იყოს, შინ რომ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდა...

### ჩამოდი, გვიშველე, გაგვიპრეზიდენტდიო. ეხვეწებიან უკრაინელები თურმე საქართველოდან გაქცეულ დამნაშავე სააკაშვილს

**ძველი „ქართული ცოდვებით“ სავსე გუდებმოკიდებული ნაციონალი ბარამიძე, რატიანი და ვაშაძე თავიანთი ფიურერის მეთაურობით, რომელთაც ჯერჯერობით თავი აარიდეს ქართულ დარტყმას, ახლა უკრაინულ „უდარს“ უარშიყდებიან და, როგორც ჩანს, მალე ჯვარსაც დაიწერენ. დაბნეული ახალი უკრაინული მთავრობა დღედაღამ თურმე მარტო იმ რეფორმების გადაღებაზე ფიქრობს, საქართველოში ბოლო 9 წლის განმავლობაში რომ გატარდა ჰიტლერის სისხლგადასხმული სააკაშვილის მეთაურობით.**

არადა, აბა ერთხელ კიდევ გავიხსენოთ, რა რეფორმები გატარდა ამ 9 წლის განმავლობაში. ამ ტყავგამძვრალ საქართველოში.

დაწვრილებით ჩამოთვლა ძალიან შორს – თვით კიევამდე მიგვიყვანს, რაც უცებ გამახსენდება მხოლოდ იმათ ჩამოვთვლი...

სინდისის გარდა გაიყიდოს ყველაფერი. ეს ვითომ. არადა, უწინარესად, ჯერ სინდისი გაიყიდა, რასაც მოჰყვა თვითონ საქართველოს მიწა-წყლის გაყიდვა, კერძო საკუთრების წართმევა, ბიზნესის დატერორება, მასმედიის ფაქტობრივად დამუნჯება და ერთ ადგილას გამოსმა, ყოველ საქმეში უსამართლობის დანერგვა, ყოველგვარი კანონიერების ფეხქვეშ გათელვა, და, რაც მთავარია, ადამიანის უფლებების მიწასთან გასწორება – თვითონ სიცოცხლის უფლების აბუჩად აგდება, რასაც ასეულობით ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა... უაზრო და უტვინო სამხედრო რეფორმის შედეგი იყო 2008 წლის აგვისტოს ომიც, რომლის საშინელი შედეგების გამო დღემდე პასუხი არავის არ უგია. ყველას გვახსოვს და, ალბათ, არც არასოდეს არ დაგვავიწყდება, რა მართლმსაჯულებაც ჰქონდათ აშკარად ფაშისტური სულისკვეთებით გაჟღენთილ ნაციონალებს და რა ხდებოდა ქართულ ციხეებში!..

აი თურმე რა „ქართული რეფორმების“ გაუკრაინულებას ცდილობენ კლიჩკოელი უკრაინელები, რომელთაც, როგორც ხავსს, ჩვეული სამარცხვინო უტიფრობით ებღაუჭებიან აშკარად შავწყალწაღებული ნაციონალები.

ეს რაც ხდება და რასაც ყველანი ვხედავთ. მაგრამ ყველაზე საკვირველი ის არის, როდემდე უნდა გვამყოფოს ოცნე-



ბის გაურკვეველ ბურანში ჩვენმა გამარჯვებულმა „ქართულმა ოცნებამ“, რომელიც, დიდად სამწუხაროდ, ჯერჯერობით კვერსაც უკრავენ და კაი გვარიან ბანსაც აძლევენ ნაციონალებს.

ხალხო, ნუთუ არ გიკვირთ, როდემდე უნდა გვმოძღვრონ ჯერ თვითონ ბოროტმოქმედმა სააკაშვილმა და მერე, იმის კვალდაკვალ, ბარამიძეებმა, რატიანებმა, გაბაშვილებმა, დარჩიაშვილებმა, ტყეშელაშვილებმა და უკრაინაში გადასხმულ დესანტთაგან ერთ-ერთმა მთავარმა დესანტმა ვაშაძემ, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ბიზნესკლასით დაფრინავენ „თავიანთთვის სასურველი მომავლის შესაგრძნობად“.

იმ მომავალში კი, იცოდეთ, ჩვენი ადგილი ნამდვილად არ იქნება...

**რედაქციაში მოსული სტუმრის აზრი ჩაიწერა**
**გურამ წიკლაურმა**

**არც ერთი ნორმალური ადამიანი არ უჭერს მხარს სისხლისღვრას, ომს, ადამიანების გაუბედურებას (ეს ჩვენ ძალიან კარგად ვიცით), მაგრამ ის ისტერიკა, როგორი ფორმითაც მიმდინარეობს ე.წ. მხარდაჭერა, ის ხალხი, ვინც მკერდში მჯიღის ცემით „იცავს“ „უკრაინულ გაზაფხულს“, მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის რევანშს უწყობს ხელს.**

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◉ პოლიტწკიპურტები

# რა ღირს მილიარდი?

**უცნაური კითხვაა, არა? მით უფრო, როცა ლაპარაკია ფულზე და არა, ვთქვათ, მილიარდ ცალ აგურსა თუ სხვა საშენ მასალაზე.**

რა ღირს და, მილიარდიო, ანუ, მოდური ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, მილიარდი დოლარი სწორედ და ზუსტად მილიარდი დოლარის ეკვივალენტურიაო, მიპასუხებს, ალბათ, მავანი.



მაგრამ არც ისე მარტივი გადასაწყვეტი იქნება ეს საქმე, ჩემო იმანო, თუ საკითხს განაცმოძრაობელთა ზეობის დროინდელი საქართველოს და დღევანდელი უკრაინის მაგალითით განვიხილავთ.

გუშინწინ უკრაინაში ჩაფრენილმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ დამხვდურთ უთხრა, **ჩემი ქვეყანა ერთი მილიარდი დოლარით დაგეხმარებათ** ეკონომიკური მდგომარეობის გასაჯანსაღებლადო.

შეგახსენებთ, იმავე მიზნით, და რუსეთთან ხუთდღიანი ომით მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლადაც, **საქართველოსაც ერთი მილიარდი დოლარი აჩუქა ამერიკამ.**

უკრაინა კი, უზარმაზარ ტერიტორიულ სხვაობაზე რომ არაფერი ვთქვათ, მოსახლეობითაც ათჯერ და მეტადაც აღემატება საქართველოს.

და თუკი ასეთ უკრაინას ეს ერთი მილიარდი დოლარი ეკონომიკური თვალსაზრისით ნაწილობრივ მაინც მოათქმევინებს სულს, იგივე თანხას საქართველო ხომ საერთოდ უნდა აეყვავებინა?

ოღონდ რეალურად, და არა ისე, ვირტუალურად, როგორც განაცმოძრაობა ხატავდა ჩვენს გალატაკებულ ყოფას.

გეხსომებათ, აკი უთხრა კიდეც საქართველოს პრეზიდენტის დიდებული რეზიდენციით, ცოტა არ იყოს, გაოცებულმა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა სააკაშვილს, **ერთი მილიარდი დოლარი ისეთი დიდი ქვეყნისთვისაც კი შთამბეჭდავი თანხაა, როგორიც ჩემი სამშობლოა.**

**ალბათ, იმადაც უთხრა, რომ ამერიკის ცნობილი თეთრი სახლი — იქაური პრეზიდენტის რეზიდენცია — მიშიკოს რეზიდენციასთან შედარებით ლამის ისეთივე მომცრო ნაგებობად გამოიყურება, როგორც, ვთქვათ, მეგრელისა თუ გურულის ორსართულიანი სახლის უკან აშენებული სამზადი, იქაურები „ქუხნას“ რომ ეძახიან.**

კარგის მთქმელს მართლაც კარგი გამგონე უნდა, ანუ, თუ ჯო ბაიდენის მაშინდელ ნათქვამს კარგად „გავშიფრავთ“, იმ კაცმა სამართლიანად გვითხრა, **ის ფული რომ**



**სწორად გამოგვეყენებინათ, ახლა ბევრად უკეთეს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყავითო.**

ისიც გავითვალისწინოთ, რომ 2008 წელს საქართველომ, აღნიშნული მილიარდის გარდა, კიდევ 3,5 მილიარდი დოლარი მიიღო დახმარებისა თუ სესხის სახით. ამას ნახევარი მილიარდის ევროობლიგაციაც დავუმატოთ და...

**მოკლედ, ჩვენს იმდროინდელ ხელისუფლებას ელემენტარული ჭკუა და ქარაფშუტა მეძავ ქალზე მეტი გონიერება რომ ჰქონოდა, დღეს ბევრად უკეთაც უნდა გვეცხოვრა და...**

**და, რაც მთავარია, ეს მართლაც დამნაშავე განაცმოძრაობელნი ასე არ უნდა ყელყელაობდნენ!**

# ...შინ არ ვარგოდაო...



**ერთი ნაცნობი მყავდა, ნარდის თამაშისას ვინმე რჩევების მიცემით თუ გააბეზრებდა, — შენისთანა მასწავლებლისთვის აგერ ვაგონია ჩამომდგარი, ჩაჯექი და შენს გზას ეწიო, — მიახლიდა.**

სწორედ ეს გამახსენდა გუშინწინ, როდესაც ტელევიზიით ვნახე, კიევში რომელიღაც მაღალჩინოსანი როგორ უხსნიდა მიშა სააკაშვილს ქვეყნის იმდღევანდელ ვითარებას, თუ რომელი უკრაინელი სამხედრო ბაზა სად ჰყავდათ ალყაში მოქცეულ რუს ჯარისკაცებს.




მიშიკოც დიდი სტრატეგივით უქნევდა თავს. იმ თავს, რომლის ერთ ნაწილზე „განლაგებული“ ცხვირითაც აქვს თავის დროზე მოხნული გორის მიწა რუსული თვითმფრინავის ხმის გაგონებით დაზაფრულ უკრაინელთა „მასწავლებელს“.

მაგრამ მერე იმ ანდაზამ გადასწონა, ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო, რომ ამბობს.

**საბრძოლო ხელოვნებისა და რუსებთან სამხედრო დაპირისპირების რა უბადლო დიდოსტატიც გახლავთ 2008 წლის ხუთდღიან ომში „გამარჯვებული“ „მთავარსარდალი“ სააკაშვილი, ქართველებმა საკუთარი მწარე გამოცდილებითაც კარგად ვიცით, მაგრამ უკრაინელებმა იციან?**

# რა ხდება, ბატონებო?



თბილისი, 2011 წლის მაისი.
ეს ანტიდემოკრატიულია?!

**პროკურატურაში დასაკითხავად დაიბარებენ ან, მით უფრო, დაიჭერენ რომელსამე განცნაძირალას? — ატყდება, მაგრამ რა ერთი ვაი-უშველებელი ატყდება! — ეს პოლიტიკური ნიშნით დევნა და ოპოზიციონერთა აშკარა დაშინება-რეპრესირებააო, — ერთხმად ამტკიცებენ განცმოძრაობელნიც და მათი დაქირავებულ-მოსყიდული უცხოელი მხარდამჭერ-ლობისტებიც...**

დღეს მთელი მსოფლიო უკრაინას მისჩერებია, სადაც მიმდინარე მოვლენებს და, მით უფრო, მათს შედეგებს სამყაროსთვის უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს.

ყველა, ყოველ შემთხვევაში, აშშ თუ დემოკრატიული დასავლეთი, ერთხმად აღნიშნავს, რომ უკრაინელმა ხალხმა და იქაურმა დემოკრატიულმა მოძრაობამ დაამარცხა დიქტატურა, კორუფცია, ანტიეროვნული ხელისუფლება და ახლა ცდილობს, მტკიცედ და სამუდამოდ დადგეს დემოკრატიული განვითარების გზაზე.

**ახალმა ხელისუფლებამ უმალ გადააყენა პრეზიდენტი იანუკოვიჩი, მასზე ძებნა გამოაცხადა და სისხლის სამართლის საქმეც აღძრა, გადააყენეს გუბერნატორები, მოსამართლეები, ის პროკურორები, რომლებიც თავის დროზე იულია ტიმოშენკოსა თუ სხვათა გახმაურებულ საქმეებს იძიებდნენ, პასუხისგებაში მისცეს და ა. შ.**

და ამას, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრულიად დემოკრატიული სამყარო არა უბრალოდ თვალ-ყურს ადევნებს, არამედ მხარსაც უჭერს და დახმარებასაც ჰპირდება უკრაინის ამჟამინდელ ხელისუფლებას.

ჩვენთან კი, საკმარისია, რომელიმე „მამალი“ განაცელი კი არა, თუნდაც „უფლებადამცველი“ გიორგი ონიანი დააკავოს პროკურატურამ, რომ ატყდეს გნიასი. თავის დროზე სხვათა ყოვლად უკანონოდ დამკავებელ-გამომძიებელ-გამსამართლებლები კი ახლაც თავიანთ სავარძლებში სხედან და... სამართალს „ამკვიდრებენ“.

**რა ხდება, დემოკრატო ბატონებო? რად ეწინააღმდეგებით ჩვენთან იმას, რასაც უკრაინაში მხარს უჭერთ? დემოკრატია და დემოკრატიულობა ხომ ყველგან ერთი საზომით უნდა იზომებოდეს?**



კიევი, 2014 წლის თებერვალი.
ეს კი დემოკრატიაა?!

**სხვაგვარად ხალხის თვალში ამგვარი დემოკრატიაც დაკნინდება ნელ-ნელა და მისი მხარდამჭერ-დამმკვიდრებელიც!**

**რუსლან რუსია**

◉ იმედი ყველაზე ბოლოს კვდება

# ეს იქნება უპრეცედენტო და სტიმულის მიმცემი შემთხვევა

**კეზერაშვილის ზეობის პერიოდში „სენტა პეტროლიუმის“ დამფუძნებელს ზაალ იაკობიძეს იძულებით გადააფორმებინეს ქონება კეზერაშვილის პატრონატის ქვეშ მყოფ კომპანია „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ანგარიშზე. იაკობიძის განმარტებით, იმ პერიოდში მათ საკუთრებაში იყო 50 ავტოგასამართი სადგური, 6 იჯარით აღებული ავტოგასამართი. მათ ჰქონდათ, აგრეთვე, წილები რამდენიმე კომპანიაში, მიწის ნაკვეთები, ნავთობაზები. სულ 65 აქტივი. ყველაფერ ამაში თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა და მისმა ხროვამ იაკობიძეს 22 მლნ დოლარი გადაუხადეს, რაც აღშფოთებას იწვევს დამფუძნებელში. როგორ შეიძლება 10 მლნ დოლარის ყოველწლიურად მომგებიანი (2010 წლის მონაცემებით) საწარმო მხოლოდ 22 მლნ დოლარად გაიყიდოს? — კითხულობს დაზარალებული და იქვე განმარტავს, რომ ის აიძულეს საკრედიტო დავალიანებები, რაც კომპანიას ჰქონდა — 12 მლნ დოლარი უმალვე დაეფარა; 4 მლნ გადაახდევინეს ბიუჯეტში მოგების სახით.**

როდესაც „სენტა პეტროლიუმმა“ პრეტენზიები გამოთქვა მისდამი ამგვარი ყაჩაღური მოპყრობის გამო, მისი დამფუძნებელი ზ. იაკობიძე დააკავეს. საპროცესო გარიგებისა და თავისუფლებისთვის მას 4 მლნ დოლარის გადახდა მოსთხოვეს. დარჩენილ 2 მლნ-ად კი აიძულეს ახალციხის რაიონის სოფელ ჭვითაში ეყიდა 121 კვ.მ. მიწია, რომლის საბაზრო ღირებულება მაქსიმუმ 500 ლარს არ აღემატება — აცხადებს იაკობიძე.




ამის შემდეგ, როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, „სან პეტროლიუმ ჯორჯია“, „გალფ ჯორჯიას“ შეერწყა და მთელი მისი აქტივები ამ უკანასკნელის ანგარიშზე გადავიდა. იძულებით ქონებაწართმეულიც საკუთრებას „გალფს“ ედავება.

ნაციონალთა ხელისუფლებიდან მოშთობის შემდეგ, იაკობიძემ, დარწმუნდა რა კბილაშვილის გუნდის უნიათობაში, თვითონ დაიწყო საბუთებისა და მტკიცებულებების შეგროვება-მოპოვება. სათანადო დოკუმენტაციის შემდეგ მან თხოვნით მიმართა საქალაქო სასამართლოს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე კი დაეყადაღებინა „გალფის“ ის ქონება, რომელიც ერთ დროს „სანტა პეტროლიუმს“ ეკუთვნოდა, სასამართლომ განიხილა თხოვნა და დააყადაღა დოკუმენტაციაში მითითებული ყველა ობიექტი, გარდა ერთისა და ავტომანქანებისა, რომლებიც უკვე „გალფის“ ბალანსზე აღარ არის და გასხვისებულია. მიზანი ყადაღისა ის იყო, რომ საქმის დასრულებამდე არ მოხდეს ამ ქონების გასხვისება და რაიმე სახის ვალდებულებებით დატვირთვა. იაკობიძეს იმედი აქვს, რომ ყველაფერი ობიექტურად წარიმართება და სამართლიანობა აღდგება. სპეციალისტები — ექსპერტები, იურისტები მოუთმენლად ელიან საქმის დასრულებას, რადგანაც თვლიან, რომ ეს იქნება უპრეცედენტო შემთხვევა ფიზიკური პირის საქმის ბოლომდე მიყვანისა, რაც დიდი სტიმულატორი იქნება ქონებაწართმეული სხვა ბიზნესმენებისთვისაც.

**ზაზა ბილიხოძე**

P. S. **როგორც „პეტროლიუმში“ აცხადებენ, თუ გამოძიებაში და შემდგომ სასამართლოში საქმე ობიექტურად და სამართლიანად წარიმართა, ლოგიკური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დამფუძნებელი ზაზა იაკობიძე „გალფისაგან“ იმ განაცდურის გამო მიყენებული ზარალის ანაზღაურებასაც მოითხოვს, რაც კომპანიას 3 წელიწადში მიადგა.**

**ზ. ბ.**

## ნაცები გააქტიურდნენ



# ცხოვრებას ნუ მასწავლით, უმჯობესია, მატერიალურად დამეხმაროთ!

ყველას კარგად გვახსოვს ფრაზა შესანიშნავი ფილმიდან „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“, რომლის ერთ-ერთი მთავარი გმირი (ვის როლსაც ირინა მურავიოვა ასრულებს) თავის მეგობრებს მიმართავს: ცხოვრებას ნუ მასწავლით, უმჯობესია, მატერიალურად დამეხმაროთ.

**ვისაც არ ახსოვს, ან ეს ფილმი სხვადასხვა მიზეზის გამო არ უნახავს, შევახსენებ, რომ ირინა მურავიოვას გმირი ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში. აქვს ძალიან ბუნდოვანი პერსპექტივა და იმისათვის, რომ სწრაფად გამოასწოროს თავისი არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობა, ცდილობს გაიცნოს და ცოლად გაჰყვეს უზრუნველყოფილ მამაკაცს.**

ბევრს აღარ ვილაპარაკებ და პირდაპირ ვიტყვი, რომ საქართველო დღეს სწორედ ირინა მურავიოვას გმირის მდგომარეობაშია.

ჩვენც, ასე ვთქვათ, „საერთო საცხოვრებელში“ ვცხოვრობთ. გვაქვს ძალიან ბუნდოვანი პერსპექტივა და არსებული მდგომარეობის სწრაფად გამოსასწორებლად ვცდილობთ, „ვიქორწინოთ წარმატებულ ევროპაზე“.

ამ დროს ყველა, აბსოლუტურად ყველა, ვისაც არ ეზარება, შინაურიც და გარეულიც, ცდილობს ცხოვრება გვასწავლოს. ცდილობს გადაგვიყვანოს იმ რელსებზე, რომელიც, მისი აზრით, მიგვიყვანს იმ რძის მდინარესთან, რომელსაც კისელის ნაპირები აქვს.

მოდით, ჭკუის გარეულ დამრიგებლებს თავი დავანებოთ და შინაურებს მივხედოთ.

თუ სწორად და უემოციებოდ გადავხედავთ საერთაშორისო მდგომარეობას, გამადიდებელი შუშის გარეშეც დავინახავთ, რომ ვითარება ძალიან დაძაბულია და ჩვენი მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა. სწორედ ასეთ დროს არის საჭირო მოვლენების ზუსტი შეფასება, სწორი ანალიზი და გამოსავლის პოვნა. ისეთი გამოსავლის, რომელიც მისაღები იქნება პირველ რიგში ჩვენთვის. ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი მომავლისთვის.

როგორც წესი, ასეთ ფონზე, თავს წამოყოფენ სხვადასხვა ჯურის ექსპერტები, ანალიტიკოსები, სხვადასხვა იდეისა და მსოფლმხედველობის მატარებელი პოლიტიკოსები, რომლებსაც სურთ, რომ თავიანთი „ნააზრევი“ თავს მოახვიონ ქვეყნის მოსახლეობას და... რაც შეიძლება მეტი მატერიალური სარგებელი მიიღონ.

**იმისთვის, რომ „შორს გაიტანო შენი სათქმელი“, კარგი პიარია საჭირო. რაღა დაგიმალოთ და დღევანდელ საქართველოში პიარის ყველაზე დიდი სპეციალისტები ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში სხედან.** მათ აქვთ, ფაქტობრივად, განუსაზღვრელი საშუალებები, მოახდინონ გავლენა საზოგადოების დიდ ნაწილზე. სხვადასხვა მეთოდით გაავრცელონ თავიანთი იდეები და არ მომერიდება პირდაპირ თქმა, რომ განახორციელონ რევანში.

დიახ, რევანში, ოღონდ არა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალის — კოალიცია „ქართული ოცნების“, არამედ ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა ნაციონალურ მოძრაობას ასპარეზზე გამოსვლის და „დემოკრატიის მედროშის“ როლის დაბრუნების საკმაოდ კარგი შანსი მისცა. მიუხედავად იმისა, რომ მედიის საშუალებებში აქტიურად მიდის მათი პიარი (გასართობი გადაცემებით დაწყებული, პოლიტიკური თოქ-შოუებით დამთავრებული), ისინი ქუჩაში აქტიურად გამოსვლას მაინც ვერ ბედავდნენ. ვერ ბედავდნენ, რადგანაც კარგად იციან საზოგადოების დამოკიდებულება. იციან და ახსოვთ 8 თებერვალი, 17 მაისი (მიუხედავად 17 მაისის ერთი შეხედვით არაპოლიტიკური დატვირთვისა, „ის“ არსებები ნაცმოძრაობის მსოფლმხედველობასთან ასოცირდებიან), დავით ბაქრაძესთან ზუგდიდური დახვედრა და მრავალი სხვა.

ნაცმოძრაობის წარმომადგენლებს რევანშისთვის სასწრაფოდ სჭირდებათ ქუჩაში ხალხის გამოყვანა. არადა, საბაბის მოძებნა საკმაოდ რთულია. რთულია, რადგანაც „ქართული ოცნება“, ფაქტობრივად, მათ კურსს ადგას და მათი მხრიდან „რაიმე შარის მოდება“ უბრალოდ სასაცილოა.

ასეთ დროს, როგორც იტყვიან, ნაცებს უკრაინის ამბებმა სულზე მოუსწრო.

გააქტიურდა სააკაშვილი. კვლავ გამოჩნდა როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე „რუსთავი 2“-ის თოქ-შოუებში. გამოჩნდა საინფორმაციო გამოშვებებში და ანალიტიკურ სტატიებში.

ბუნებრივია, რომ ხელისუფლებას, მიუხედავად თავისი დამოკიდებულებისა, მაინც არა აქვს უფლება ჩაერიოს უცხო ქვეყნის შიდა საქმეებში და მისი განცხადებები, როგორც წესი, მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლება. ასეთ დროს კი ოპოზიციურ პარტიას ეძლევა დიდი შანსი გამოვიდეს დემოკრატიული პრინციპების, დემოკრატიული სტანდარტების დამცველად და „თავისი სიტყვა თქვას“ გლობალურ პოლიტიკაში. საშუალება ეძლევა, მოძმე ერის დაცვის მიზნით გამოიყვანოს ხალხი ქუჩაში, შეაჩვიოს საზოგადოება თავის აქტიურობას და ამით შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები.

თუ სააკაშვილის უკრაინული ვოიაჟებისა და უცხოურ არხებზე გაკეთებული განცხადებების შემდეგ ყველას 2011 წლის 26 მაისის სისხლიანი ღამე გვახსენდებოდა, ერთ-ორ მწარე სიტყვასაც ვამბობდით კოჰაბიტაციის, პროკურატურის უნიათობის და ორმაგი სტანდარტების მქონე ევროპის მისამართით და სამომხმარებლო კალათაში ჩასადებად გიტარის შესაძენად მივდიოდით, დღეს უკვე სხვა სიტუაციაა.

დემოკრატიული სტანდარტებისა და ცივილიზაციის მონაპოვრების დაცვის მონოპოლია ნაცმოძრაობამ აიღო. მოდით და პირდაპირ ვთქვათ, რომ უკრაინისთვის მხარდაჭერის გამოხატვა 80%-ით არის მიხეილ სააკაშვილისადმი, ნაცმოძრაობისადმი და მათი რევანშისადმი მხარდაჭერა და მხოლოდ 20%-ია იქ მიმდინარე პროცესებზე რეალური გულისტკივილი.

ბუნებრივია, რომ **არც ერთი ნორმალური ადამიანი არ უჭერს მხარს სისხლისღვრას, ომს, ადამიანების გაუბედურებას (ეს ჩვენ ძალიან კარგად ვიცით), მაგრამ ის ისტერიკა, როგორი ფორმითაც მიმდინარეობს ე.წ. მხარდაჭერა, ის ხალხი, ვინც მკერდში მჯიღის ცემით „იცავს“ „უკრაინულ გაზაფხულს“, მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის რევანშს უწყობს ხელს.**

დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი მათგანი ხვდება და მართლაც გულწრფელად განიცდის იმ სავალალო შედეგებს, რაც შეიძლება უკრაინაში დაძაბულობის ესკალაციას მოჰყვეს, მაგრამ ისიც ვიცი, თუ როგორ ხდება პოზიციის დასაფიქსირებლად მათი მიყვანა ტელეკამერებთან.

წარმოიდგინეთ, რომ ხართ ხალხისათვის საყვარელი მსახიობი, ან სპორტსმენი, მომღერალი და თქვენი ცხოვრებისთვის აუცილებელია მუდამ საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნა. უცებ მოდის „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი და გისვამთ კითხვას უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ბუნებრივია, რომ დაგმობთ სისხლისღვრას და მოუწოდებთ ყველას მშვიდობიანად მოაგვარონ პრობლემები. სიუჟეტში თქვენს წინ განცხადებას აკეთებენ ვინმე გიორგი კანდელაკი და გიგა ბოკერია. თქვენს შემდეგ ვინმე მომღერალი.

დამერწმუნეთ, რომ მაყურებლის ცნობიერში თქვენ არა უკრაინის, ან დემოკრატიული პრინციპების, არამედ ნაცმოძრაობის მხარდამჭერად ჩაითვლებით.

ასეთ განცხადებებზე, ჭკუის სწავლებაზე და სხვადასხვა ფორმით დამუნათებაზე, ყოველთვის ვამბობ: „ნუ მასწავლით ცხოვრებას!“

რევანშისტების და განსაკუთრებით მიხეილ სააკაშვილის საერთაშორისო აქტივობასთან მიმართებაში მინდა, ორიოდე შეკითხვა მეც დავუსვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს: **— როდესაც ადამიანი, რომლის რეჟიმსაც ებრძოდა საქართველოს მოსახლეობა, გამოდის საზღვარგარეთული ტელეარხებით (სი-ენ-ენი, უკრაინის მეხუთე არხი) საუბრობს დემოკრატიაზე, ყველანაირი მეთოდებით ამწვავებს ურთიერთობას რუსეთთან და მას იმ ტელეარხების წამყვანები უდიდეს მადლობას უძღვნიან დემოკრატიის გამარჯვებაში შეტანილი წვლილისთვის, რატომ არ უკავშირდება იმ ქვეყანაში არსებული საქართველოს საელჩო იმ ტელეარხებს და რატომ არ აწვდის 2011 წლის 26 მაისის დარბევის ვიდეო და ფოტომასალებს. რატომ არ აკეთებს ოფიციალურ განცხადებებს და საერთოდ რას აკეთებენ ეს საელჩოები.**

პასუხი მარტივია: არაფერს. ქვეყნისათვის აბსოლუტურად არაფერს. და სწორედ ამის ბრალია ის, რომ დემოკრატიის სტანდარტი საქართველოსთვის სულ სხვაა და უკრაინისთვის სულ სხვა.

ამას ყველაფერს ვხედავთ და ვიცით. ვიცით, რადგანაც ხელი არა მხოლოდ „რუსთავი 2“-ზე მიგვიწვდება, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებსაც ვადევნებთ თვალს და უკრაინის დროშაშემოხვეული ია ფარულავასი არ გვჯერა.

სამწუხარო რეალობა ასეთია. ამიტომ ამ წერილს კვლავ მოწოდებით დავამთავრებ: „ცხოვრებას ნუ მასწავლით, უმჯობესია, მატერიალურად დამეხმაროთ!“.

**გია გაბრიჭიძე**

## კაკალ გულში

**● ხალხო, არ აყვეთ პროვოკაციას. ფარულავა-სუარის თემა ჩვენი ყურადღების მოსადუნებლად შემოაგდეეეს! ამასობაში რუსეთი უკრაინას დაიპყრობს!**

**● რუსეთის წინააღმდეგ ამერიკა-ევროპის აქტიურობისადმი მიძღვნილი პოსტები იმ ბავშვის სიხარულს მაგონებს, ვილაცამ მაგრად რომ დაჩაგრა, რაღაცები წაართვა და დიდი ბიძიები არ დაეხმარნენ. მერე იმ დამჩაგვრელმა სხვა ბავშვის ცემა დააპირა და ის დიდი ბიძიები გაბრაზდნენ, ოღონდ ეს ბავშვი არავის ახსოვს. პროსტა იმ სხვა ბავშვს იცავენ და ისიც იმიტომ, რომ იმ ბავშვისგან უფრო მეტ გამორჩენას ელოდებიან.**

**რა ვიცი, შეიძლება ვცდები, მარა ეგეთი უნამუსო ბიძიები არასდროს მევასებოდნენ.**

**● რასაც ვუყურებ და რაც მესმის და რაც არ უნდა იფიქრონ ჩემზე წიკლაურმა ან მალაშხიამ, ამ საყოველთაო აურზაურში, ყველაზე ღირსეულად ისევ პუტინი გამოიყურება.**

**● მოკლედ, ჩვენი პატრიოტები ეს 3 დღეა, ჩაფხუტებით სხედან მონიტორებთან!**

### წერტილოვანი ფრაზები

**● თბილისის ქუჩების ჭად ქცეულ ორმოებს პატრონი რომ გამოუჩნდეს, ვითომ რუსეთს ეწყინება? არა, მე მეწყინა და ვიფიქრე, იმასაც ხომ არ ეწყინება-მეთქი...**

**● ვფიქრობ და თანდათან ვრწმუნდები, რომ:**

**— იანუკოვიჩი უკრაინის პატრიოტია!**

**— იაცენიუკი უკრაინის მოღალატეა, კლიჩკო კი - უტვინო!**

**— ამერიკას და ნატოს გარეწრები მართავენ!**

**— ამერიკის ძაღლისშვილი სააკაშვილი ნამდვილი ნაძირალაა!**

**— ნაცები დებილები არიან!**

**— პუტინი აბსოლუტურად მართალია!**

**● სოლიდარობის რა უცნაური ფორმა შემოვიდა: თუ ვინმე თავს გამოიჩენს, ან გაუჭირდება, ან რა ვიცი, კიდევ რა: „მე უკრაინელი ვარ“, „მე ბაჩო ახალაია ვარ“ და რა ვიცი კიდევ რამდენი „მე ეს ვარ“ ან „მე ის ვარ“... მაპატიეთ ყველამ, მაგრამ ვერ გავიგე...**

**● წარწერები, რომლებიც არაფერს ცვლის:**

**1.მოწევა კლავს!**

**2. სოხუმი — 400 კმ**

**3. ნაგავს ნუ დაყრით!**

**4. ლიფტში სამ კაცზე მეტი ნუ შეხვალთ!**

**5. მანქანას ნუ გააჩერებთ!**

**6. ეთერშია გადაცემა „სამოთხის ვაშლები“!**

**7. წარწერა გერბზე — „ძალა ერთობაშია!“**

**8. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ცვლილებაა!**

**9. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ჟენევის მოლაპარაკების 25-ე რაუნდი მარტის დასაწყისში გაიმართება.**

**10. მიკროავტობუსში მგზავრების დგომა არ შეიძლება. ამისთვის მძღოლი დაჯარიმდება!**

**11. თავისუფლება ვანოს!**

**12. ევროპა შეშფოთებულია!**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**

ხედვა



# ვინ და რა მართავს მსოფლიოს

## ანუ რას გვასწავლის რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი?

**უკვე აშკარაა, რომ მსოფლიო პროტესტის მიუხედავად, რუსეთი შეინარჩუნებს გავლენას უკრაინის აღმოსავლეთსა და ყირიმის ნახევარკუნძულზე. უბრალოდ, გერმანიის დახმარებით ამას დემოკრატიულად შეფუთავს და საბოლოოდ მივიღებთ რეფერენდუმის საფუძველზე, ანუ სამართლებრივ ჩარჩოებში ლეგალიზებულ სამ ნაწილად გაყოფილ უკრაინას, რომელიც მთელი მსოფლიოსთვის იქნება ოფიციალურად ერთიანი, ხოლო რეალურად რუსეთის პროტექტორატი. ოფიციალური კიევი გააგრძელებს ოკუპირებული ტერიტორიების რუსის ჯარისგან გათავისუფლების მოთხოვნას, ყირიმისა და აღმოსავლეთ უკრაინის მოსახლეობა კი ამას გააპროტესტებს.**

საბოლოო ჯამში პრობლემის ამ გზით მოგვარება შედის როგორც რუსეთის, ისე ევროკავშირის და აშშ-ის ინტერესებში. სამივე მხარეს დარჩება საკმარისი ინტერპრეტაცია თავისი მოქმედებების სისწორისა და შედეგიანობის წარმოსაჩენად. წაგებული დარჩება მხოლოდ კიევი და დასავლეთ უკრაინა. თუმცა, დიდი არჩევანი უკრაინას არც ჰქონდა, აღმოსავლეთ უკრაინის კონტროლი დასუსტებულ კიევს გაუჭირდებოდა. რა მიიღო რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შედეგად მსოფლიომ? მიიღო უკვე შეუნიღბავი „ცივი ომი" რუსეთსა და დასავლეთს შორის. ასევე მიიღო მესიჯი — მსოფლიო იდილიაზე ოცნება გულუბრყვილობაა, მსოფლიოს მართავს არა სამართლიანობა, არამედ ინტერესები. ყოველგვარი ოცნება მსოფლიო რისხვის დატეხვასა და იმპერიის წინააღმდეგ გალაშქრებაზე თავის მოტყუებაა.

**ის, რაც მოხდა საქართველოში 2008 წელს და ის, რაც ახლა ხდება უკრაინაში, ეს არის ამ „ცივ ომში" ჩართულ ძირითად მოთამაშეთა შორის სადემარკაციო საზღვრების გავლება. რაც შეეხება დასავლეთისგან ჩვენი ან უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის უპირობო აღიარებასა და მხარდაჭერას, ეს მხოლოდ დიპლომატიური ეტიკეტია.** ისევე როგორც რუსეთის მხრიდან არის დიპლომატიური ეტიკეტი აფხაზეთის ან „სამხრეთ ოსეთის" სახელმწიფოების ცნობა. სახელმწიფოების სუვერენიტეტები და ტერიტორიული მთლიანობები ძალიან სიმბოლური ცვლადებია, რომლებიც შეიძლება ერთდროულად შეიცვალოს და თან (ოფიციალურად) არც შეიცვალოს და ეს არ იქნება ტრაგედია. ამის კარგი მაგალითია კვიპროსი, რომელიც ევროკავშირის თვალში ერთიანია, თურქეთის თვალში კი მისი ჩრდილოეთი ნაწილი დამოუკიდებელია სამხრეთისგან. აფხაზეთიც ამგვარი მაგალითია.

**დასავლეთი არ დაიწყებს რუსეთთან ომს აფხაზეთისთვის, როგორც ამაზე ნაციონალური მოძრაობა ოცნებობს. ისევე როგორც რუსეთი არააყვავებს და არ გააერთიანებს საქართველოს, როგორც პრორუსული ძალები გვარწმუნებენ. მსოფლიო ომებს არ იწყებენ ასეთი „მცირე" პრობლემისთვის,** ხოლო, თუ მსოფლიო ომი დაიწყება, მიზეზი არ იქნება არც ვინმეს „თვითგამორკვევის უფლება" და არც ვინმეს „ტერიტორიული მთლიანობა", მიზეზი იქნება ბევრად დიდი ინტერესების კონფლიქტი.

შესაძლოა, ევროკავშირმა ავტომატურად ვერ დაუბრუნოს საქართველოს აფხაზეთი და სამაჩაბლო, მაგრამ ეს გაერთიანება გაცილებით ადამიანური და ცივილიზებულია, ვიდრე ჯერ არშექმნილი „ევრაზიული კავშირი". ევროკავშირი თანასწორთა ნებაყოფილებითი დემოკრატიული გაერთიანებაა, „ევრაზიული კავშირი" კი იქნება რუსეთზე მორგებული გაერთიანება, რომელიც მოემსახურება რუსეთის გაძლიერებას.

დღეს რუსეთი მიზანმიმართულად ზრდის ანტიდასავლურ პროპაგანდას საქართველოში, რათა საზოგადოებაში გააჩინოს ევროსკეპტიციზმი და ხელი შეუშალოს ქვეყნის დაახლოებას ევროკავშირთან. თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოს აქვს შანსი, წელსვე მშვიდობიანად მოახდინოს რუსეთისგან დისტანცირება.

საქართველომ შეიძინა საკმარისი გამოცდილება საიმისოდ, რომ არ წამოეგოს პროვოკაციებს და არ იყოს გეოპოლიტიკური ილუზიების ტყვეობაში. ნაციონალური მოძრაობის რადიკალურ-რომანტიკულმა განწყობებმა შედეგად მოიტანა 2008 წლის ავანტიურაზე წამოგება და მკაცრი რეალობის წინაშე დადგომა. პრორუსული პოლიტიკური ჯგუფები ასევე საკმარისად მარგინალიზებულები არიან საიმისოდ, რომ საქართველოს მოსახლეობა აჰყვეს მათ ბანალურ, რელიგიური ფუნდამენტალიზმითა და ევროგარყვნილებით გაზავებულ შავ პიარს. შესაბამისად, რჩება ზომიერი, კარგად გაანალიზებული და გაანგარიშებული გზა, რომელიც გულისხმობს ზედმეტი რყევებისგან თავის აცილებით, რუსეთთან უკონფრონტაციოდ ევროკავშირის წევრობამდე მისვლას.

**საქართველოს არ ჰყავს არც ერთმორწმუნე, არც ხუთმორწმუნე და არც არანაირი მეგობრები, საქართველოს აქვს მხოლოდ თავისი ინტერესები და მათი გატარების საშუალებები.** ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა მსოფლიოში არსებული ვითარების გაანალიზება და სწორი სტრატეგიით ამ ვითარებებიდან სარგებლის მიღება. ხვალ თუ სხვა ვითარება იქნება, საქართველომ იმ რეალობის გათვალისწინებით უნდა ჩამოაყალიბოს თავისი ინტერესები. დღეს საქართველოს ინტერესებშია თავისუფლების შენარჩუნება, სტაბილური კულტურული და ეკონომიკური განვითარება და სოლიდარული, განათლებული, თვითმყოფადი, პროგრესზე ორიენტირებული დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება. დღეს საქართველოს ინტერესებშია ევროკავშირის წევრობა.

**ზეზვა ფხოველი**

„საქართველო-2020"

# უახლოესი წლების ეკონომიკური პრიორიტეტები

**შარშან პრემიერ-მინისტრის დავალების შესაბამისად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შემუშავდა მეტად საგულისხმო დოკუმენტი — „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო-2020", რომლის მთავარი მიზანია, რომ საყოველთაო ეკონომიკური ზრდით მოტანილი სიკეთით სარგებლობის შესაძლებლობა ქვეყნის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ჰქონდეს.**

**ამასთან, პროექტის ავტორები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ მეტად მნიშვნელოვანია, ეკონომიკური განვითარების პროცესში ქვეყნის რაც შეიძლება მეტი მოქალაქე იყოს ჩართული.**



**შემუშავებულ პროექტში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ მდგრადი განვითარების უზრუნველმყოფი ეკონომიკური პოლიტიკა თავისუფალი ბაზრის პრინციპებსა და დაცვას უნდა ემყარებოდეს, რისი გარანტორი სახელმწიფო იქნება.** დოკუმენტში ისიც გარკვევითაა ნათქვამი, რომ **„მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას განიხილავს, როგორც ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალას".**

„საქართველო-2020" ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტში, რომლის უქონლობა წლების მანძილზე ქვეყნის აღმავლობას დიდად უშლიდა ხელს, ისიცაა ხაზგასმული, რომ **მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, ეფექტურობასთან ერთად, სოციალური დაცულობისა და სამართლიანობის პრინციპებს დაეფუძნება.** ამ პრინციპების განმახორციელებელი ინსტრუმენტები კი ეკონომიკურ სტრატეგიაში დასაქმების, განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემების ჩართულობაა. უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი მოსახლეობის დასაქმების და არა მხოლოდ სოციალური დახმარების დონის ზრდა იქნება, თუმცა კი უღარიბესი ფენებისთვის სოციალური ყოფის გაუმჯობესება ერთ-ერთი საგანგებოდ საყურადღებო მიმართულებაა.

უახლოეს წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა რეგიონულ განვითარებას, რაშიც უდიდესი როლი **უფლებამოსილებათა და ფინანსური სახსრების განკარგვის მიმდევრულმა დეცენტრალიზაციამ და ეკონომიკური პროცესების სტიმულირებაში სუბნაციონალურმა ერთეულებმა უნდა შეასრულოს.**

საგულისხმოა ისიც, რომ „საქართველო-2020"-ში ეკონომიკის ხელშემშლელ გარემოებათა შორის ხაზგასმულია **კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა,** როგორც ეს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ცოტა ხნის წინათ თბილისში გამართულ ეკონომიკურ ფორუმზე განაცხადა. პრობლემაა **არასაკმარისად განვითარებული ადამიანური რესურსებიც, ასევე ფინანსურ სახსრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და ა.შ.**

აქედან გამომდინარე, მთავრობის მოღვაწეობის ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანა კერძო სექტორის მაქსიმალური ხელშეწყობა, ინვესტიციების მოზიდვა, ასევე სამართლიანი, დაცული ბიზნეს-გარემოს შექმნაა. დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი ის პრიორიტეტები და პრობლემები, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკის მდგრად განვითარებას. აღნიშნულ პრობლემათა დასაძლევად და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, „საქართველო-2020"-ში მთელი რიგი პრიორიტეტული მიმართულებაა განსაზღვრული. მათ შორისაა, კერძოდ, **საინვესტიციო და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება; ინოვაციისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა; ექსპორტის ზრდის მაქსიმალური გამოყენება; შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება; სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა; ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა; საინვესტიციო რესურსების მობილიზება და ფინანსური შუამავლობის განვითარება.**

მომავალ პუბლიკაციებში, შესაძლებლობისდაგვარად, თითოეულ მათგანს უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

ალიან-ჩალიანი

### იოსებ ქადაგიშვილი ნადირაშვილისა და თარგამაძის წინააღმდეგ

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ ქადაგიშვილმა გივი თარგამაძისა და ირმა ნადირაშვილის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ამის შესახებ საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან იტყობინებიან.**

**„დარწმუნებული ვართ, რომ სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს, რაც დაავალდებულებს გივი თარგამაძესა და ირმა ნადირაშვილს იმავე საშუალებებითა და მეთოდებით (ბრიფინგის მოწყობა და მედიაში გაშუქება) უარყონ ცილისმწამებლური განცხადებები იმის შესახებ, თითქოს იოსებ ქადაგიშვილი დანაშაულებრივი კლანის წევრია და ის, თანამდებობრივი უფლებამოსილების გამოყენებით, უკანონოდ ანიჭებდა უპირატესობას კონკრეტულ კერძო კომპანიას", — განაცხადა ქადაგიშვილის ადვოკატმა.**

**„ნაციონალური მოძრაობის" წევრების ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილმა და თამაზ თამაზაშვილმა პირადი ინტერესების გამო, პრემიერის ნათესავი იოსებ ქადაგიშვილი დანიშნა ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ და სატენდერო კომისიის თავმჯდომარედ. მათივე თქმით, ამის შედეგად, ერთი წლის განმავლობაში საგზაო მშენებლობაში გამოცხადებულ ტენდერებში ღარიბაშვილთან და თამაზაშვილთან დაახლოებული პირების კომპანია „სერპანტინმა" გაიმარჯვა. „ნაციონალურმა მოძრაობამ" შესაბამისი სქემაც გამოაქვეყნა.**

**ინტერპრესი**

# ანტირუსულად „დაწნეხილი“ ქართული ტვინი

**ამას წინათ, პატივი მქონდა მომესმინა „ღრმადპატივცემული“ ჟურნალისტის თამარ ჩიქოვანისა და არანაკლებ „ღრმადპატივცემული“ პარლამენტარის გია ცაგარეიშვილის შეხმატკბილებული დუეტისთვის — შემთხვევით, ავტომანქანის რადიოთი. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ სხვა ვითარებაში მათი „ღრმადშინაარსიანი“ ლაპარაკის მოსმენის არც არავითარი სურვილი მექნებოდა.**

ესენი იმ კატეგორიას მიეკუთვნებიან, წინასწარ რომ იცი, რას იტყვიან, მაგრამ ამჯერად ორივემ მოლოდინს გადააჭარბა - პარლამენტარმა მოჭარბებული ნაციონალიზმით, ხოლო ჟურნალისტმა — ნაციონალიზმის გულშემატკივრობით. თუმცა, ჟურნალისტისგან სულაც არ გამკვირვებია — ის ხომ ყველაზე „თავისუფალი ხმის“, ყველაზე „დემოკრატიული“ რადიოს წარმომადგენელია.

ეს, ის „თავისუფალი რადიოა“, ანუ „რადიო თავისუფლება“, საბჭოეთს რომ თხრიდა. დღეს, რას „თხრის“, ძნელი გასაგებია. აღარც საბჭოთა კავშირია და აღარც სოციალისტური ბანაკი, რომელსაც ენაალესილი ებრძოდა ამერიკული პროპაგანდა ამ და მეორე რადიოს — „ამერიკის ხმის“ მეშვეობით.

დღეს რაღას ებრძვის — თავისუფალ, გადემოკრატებულ, დასავლურად მოქცეულ — „გაკეთილშობილებულ“ „ნაცლენდში“, ანუ ჯორჯიაში, ანუ საქართველოში?

ამერიკულად „დაწნეხილ“ ქართულ ტვინებს არა მგონია ესაჭიროებდეს კიდევ უფრო „დაწნეხვა“. ეს, ჩემის შეხედვით. ვაშინგტონის მიხედვით, კი ესაჭიროება, ვიდრე ბოლომდე არ „დაიწნეხება“ ქართველთა ტვინები და რახან რადიოც მისია და კორესპონდენტიც — ბრძოლაც გრძელდება, ამჯერად „აგრესიული“ რუსეთის წინააღმდეგ.

რუსული თემა, მით უმეტეს ლანძღვა, ისეთი რამაა, დიდ ქულებს რომ მატებს ჟურნალისტს ამერიკელი ბოსების თვალში. ამიტომაც ასერიგად ელის ჟურნალისტი ნებისმიერ მოწვეულ სტუმართან ლაპარაკს. და არის არაერთი ჩაკითხვა, რომ რესპონდენტს წამოაცდენინოს რუსეთის მოსალოდნელი აგრესიის თაობაზე, აქედან გამომდინარე „ცუდი“ რუსეთის სალაპარაკო თემის გაშლაზე.

რესპონდენტებიც ისეთები ჰყავს შერჩეული, სულ არ საჭიროებენ პატივცემული ჟურნალისტის წაქეზებას, ისე მოხსნიან პირს გუშინდელ-დღევანდელი რუსეთის საგინებლად. ასე და ამრიგად, „რადიო თავისუფლების“, „მაესტროზე“ გაჟღერებული ხმა ისე, როგორც უკლებლივ ყველა რადიოსი და ტელევიზიისა, ანტირუსულად „წნეხავს“ საქართველოს მოსახლეობის ტვინს.

ჩიქოვან-ცაგარეიშვილის დუეტში ბევრი რამ იყო „საინტერესო“, მაგრამ ყურადღება პარაფირებული ტექსტის ამბავმა მიიპყრო, როდესაც ჟურნალისტმა საყვედურით მიმართა მსმენელს, რას ჩივით და წუწუნებთ, ხომ ხედავთ ტექსტიც გამოქვეყნებულია და თარგმანიცო.

კეთილი, მაგრამ მარტია და ახლა? ნოემბრიდან მარტამდე საკმაო დროა გასული. მოდუნდა საზოგადოების ყურადღება პარაფირებული ტექსტისადმი.

დღეს, გინდ წაგიკითხავს, გინდ არა — ტექსტი პარაფირებულია და თანაც ისე, მომწერმაც რომ არაფერი იცოდა, რას აწერდა ხელს. გარდა ამისა საზოგადოებას ეჭვი აქვს, რომ ტექსტი ისაა, რასაც ხელი მოეწერა და ითარგმნა.

საზოგადოების ეჭვიანობის მიზეზი მრავალია, რამაც თავი იჩინა ქვეყნის ისტორიის ბოლო დეკადის დროს. თუმცა, არც წინა დეკადა იყო სანდო ამ მხრივ, როდესაც პრემიერ-მინისტრ ჟვანიას გარდაცვალების საექსპერტო დოკუმენტში, ამერიკელთა მიერ შედგენილში, შედის „უმნიშვნელო“ ცვლილება, საზოგადოებას აქვს სრული უფლება, იყოს ეჭვიანი; როდესაც ცხინვალის ომის ტალიავინისეული დასკვნა შებრუნებულად მოგვაწოდა ნაციონალურმა მთავრობამ, საზოგადოებას გვაქვს უფლება, ვიყოთ ეჭვიანი.

საზოგადოება თვლის, რომ მას, ხელისმოწერამდე, უნდა ჰქონოდა ტექსტის გაცნობის შესაძლებლობა. დღეს, რაღა მნიშვნელობა აქვს, ტექსტი პარაფირებულია. არ მითხრათ, საქართველოს ხელისუფლებაში გამოჩნდება ვინმე გულადი, რომელიც რომელიმე პუნქტის მიუღებლობის გამო, ასოცირების დოკუმენტზე ხელმოწერის წინააღმდეგ წავა.

საქართველოს არც ის ხელისუფლება ჰყავს და არც თვით არის ისეთი, თავისი სამართლიანი სიტყვა რომ თქვას, ტექსტში არსებული მიუღებელი პუნქტების შეცვლა რომ მოითხოვოს. ჩვენ ისეთი მთავრობა გვყავს — თავის ჩამოსახრჩობ თოკს, თვითონ რომ მიიტანს.

ჰოდა, ბატონმა გიამ ბრძანა, სწორედ ასოცირებული წევრობა მოგვცემს საშუალებას ევროპაში უვიზო მგზავრობისო — აიღებთ პასპორტს, ბილეთს და უპრობლემოდ იმოგზაურებთ ევროპაში, თანაც თუ სურვილი გექნებათ, იქ დასაქმდებით კიდევაცო. აბა, არა! — დაუდასტურა ჟურნალისტმა.

„რადიო თავისუფლებამ“, მით უმეტეს პარლამენტარმა უნდა იცოდეს, რომ — აიღებ პასპორტს, ბილეთს და წახვალ ევროპაში — ჯერჯერობით შეუძლებელია და ასე იქნება ასოცირებული წევრობის დროსაც. ასოცირებული წევრობა ავტომატურად არ ხდის საქართველოს შენგენის ხელშეკრულების წევრად. ასოცირებული წევრობა კი არა, ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობაც არ იძლევა შენგენის ხელშეკრულების წევრობას, ანუ ევროკავშირში თავისუფალ, უვიზო გადაადგილების შანსს.

ევროკავშირის 28 წევრიდან, მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელ ქვეყნებს აქვთ ეს უფლება. თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ ევროკავშირში ყოფნის რვაწლიანი სტაჟის მქონე რუმინეთსა და ბულგარეთს. მათ მხოლოდ წელს მიიღეს შენგენის ზონაში შესვლის უფლება. მიიღეს და რა ამბავი ატეხა დიდმა ბრიტანეთმა?! „რუმინელებსა და ბულგარელებს აქ არ შემოვუშვებთო“, — აცხადებს ის.

არაევროკავშირის წევრმა შვეიცარიამ ხომ მთელი ევროპა გადარია — შვეიცარიაში ევროპელთა შესვლის გამკაცრების გამო.

ბუნებრივად იბადება კითხვა — რაშია საქმე? საქმე, სულ „მარტივ“ რამეში — უმუშევრობაშია. გარდა ამისა, გაუსაძლის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში. უჭირს ევროკავშირს, როგორც ფინანსურად, ისე ეკონომიკურად და ისე უჭირს, რომ მზად არის, „შავი“ სამუშაო შეასრულოს ლუკმა-პურის საშოვნად.

ერთ დროს გალაღებული ფრანგი, ნიდერლანდელი, ინგლისელი, ესპანელი, იტალიელი, სხვები დღეს შავ სამუშაოსაც არ თაკილობენ, მაგრამ სად არის?! და ასეთ დროს ევროკავშირის სხვა გაპარტახებული ქვეყნების მოსახლეობის მოძალება — სამუშაოს მოსაპოვებლად. ესპანეთის ახალგაზრდების 60% უმუშევარია, არანაკლები უმუშევრობაა სხვა ევროპულ ქვეყნებში და ამ დროს ცაგარეიშვილის დეზორიენტაციული განცხადება — აიღებ ბილეთს, პასპორტს და წახვალ დასასაქმებლად.

ყველაფერი რომ ცაგარეიშვილის აზროვნების მსგავსად იყოს — რა ეშველება საქართველოს? ნაცვლად იმისა, რომ პარლამენტარმა განაცხადოს, რა ევროპა, რის ევროპა, ჩვენი ხელისუფლება უზრუნველყოფს სამშობლოში თქვენს დასაქმებასო, ის, პირიქით, გვიკარნახებს — წადით და იქ დასაქმდითო.

ცაგარეიშვილის რჩევამ მწერალი ვახტანგ ხარჩილავას ნათქვამი გამახსენა: „ესენი (ხელისუფლება) საქართველოდან გასახლებას გვიპირებენ, თანაც ისე, რომ იქით ვეხვეწებოდეთ — ოღონდ გაგვიშვით, გაქცევის საშუალება მოგვეცით, სული გაგვატანინეთ აქედან და ჯანდაბას, ეს ჩვენი სამშობლო თქვენი ფეშქაში იყოს...“

„ამ დროს კი ჩვენი ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსები, იმის ნაცვლად, რომ ერთად შეკრან ერი და თავს დამტყდარი უბედურების მთავარი მიზეზი, მთავარი მტერი დაანახონ, ყოფენ, ხლეჩენ საზოგადოებას“.

როგორ დავიჯეროთ, ამ სიტყვების ავტორი ბატონი ვახტანგი მტერია და ევროპაში ქართველთა ვირტუალური დასაქმების მსურველი ბატონი გია — მოყვარე?!

არა, ბატონებო, არც გია და არც სხვა პარლამენტარები, ირაკლები, გიორგები, მაიები და ელისოები არ არიან ქართველთა შინ დამსაქმებლები, არც 100 თუ ორასი საწარმოს ამშენებლები და არც სოციალური ყოფის გამომსწორებლები. რაც მათ შეუძლიათ, საკუთარი თავისთვის დიდი ხელფასების დანიშვნაა. აი მაგალითად, თავდაცვის მინისტრის — 16 000 ლარი თვიურად, მაშინ როდესაც, ავღანეთში მებრძოლის თვიური ხელფასი 1000-დან 2300 ლარამდე მერყეობს.

სხვათა შორის „რადიო-ლაპარაკში“ პატივცემული გია ქართველი სამხედროების ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში გაგზავნასაც შეეხო. და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოსთვის ეს გადაწყვეტილება უდიდესი მონაპოვარია, რომ შორეულ აფრიკაში ქართველი მეომრები დაიცავენ საქართველოს უსაფრთხოებას. ამაზე იტყვიან ალაოდ არისო. სად ერეკლე და სად ჩემი?.. როდის აქეთ გახდა ცარ საქართველოს უსაფრთხოების ფორპოსტი?! ეს, ისეთი ფორპოსტია, როგორც ერაყი იყო ან ავღანეთია.

ნატოს „სწრაფი რეაგირების ძალებში“ მოხვედრა უდიდესი მიღწევააო, — გვმოძღვრავს ალასანია, პრეზიდენტი კი პარლამენტში გამოსვლისას სიხარულს ვერ მალავს. როდესაც ჯარის შენახვა ძვირი გიჯდება, განა მისწრება არ არის ავღანეთში და ცარ-ში მისი გაგზავნა? იქ ხომ 2-3-ჯერ მეტ ხელფასს მიიღებენ, ვიდრე აქ?

რამდენად გაუსაძლის პირობებში უნდა იყოს კაცი, რომ სამშობლოდან ათეულ-ათასობით კილომეტრზე დაშორებულ ქვეყანაში იომოს, თანაც მიზერული თანხის მისაღებად სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე დადოს თავი?

ფუი ეშმაკს, ამას რას კადრულობთ ჩვენს პატრიოტ ბიჭებზეო — იტყვის მავანი. ვკადრულობ. როდესაც შენ, შენი გაქვს საომარი, სხვაგან არ უნდა გარბოდე, სხვის საზარბაზნე ხორცად არ უნდა იქცე.

ქართველები რომ სხვის ომში, ამჯერად აფრიკაში იომებენ — გადაწყვეტილია, შემდეგ სხვა ომებიც იქნება. ომს რა გამოლევს მსოფლიოში. და ვიქნებით ასე, ომიდან-ომში მორბენალი, შესაძლოა რამდენიმეში ერთდროულად. და ვარჩენთ ოჯახს. სხვა სამსახური მაინც არ არის.

იაფფასიანი სამხედროები მისწრებაა დასავლეთისთვის. ავღანეთში მეომარი ქართველის შედარება ამერიკელთან ან სხვასთან, ხელფასის თვალსაზრისით, ისეთივე აბსურდია, როგორც „მერსედესის“ და „ზაპოროჟეცის“ შედარება. ამერიკელი ჯარისკაცის ანაზღაურება ქართველთან შედარებით მიუღწეველი ზღაპარია, ისე, როგორც დაჭრილთა მკურნალობისთვის გამოყოფილი თანხები, დაღუპულთა ოჯახებისთვის გაცემული ფული - არა ერთჯერადი დახმარების სახით, არამედ მრავალწლიან გრაფიკში ჩამჯდარი და ა.შ.

ხელისუფალთა სკამების შენარჩუნებას, პოლიტიკაში მათ დიდხანს ყოფნას ემსახურება ყოველივე ეს. გაურიგდება რომელიმე ჩვენი ხელისუფალი ვაშინგტონელ „კეთილმსურველს“ და დაიძვრება ქართველთა არმია აფრიკისკენ.

ერაყსა და ავღანეთის ომებში ქართველთა მონაწილეობის ინიციატორი ვაშინგტონი იყო. ამ ინიციატივას სიხარულით შეხვდა საქართველოს ხელისუფლება. და ნაცვლად ავღანეთში გაგზავნილი საშუალო ზომის კონტიგენტისა, რაოდენობა 1700-მდე გაზარდა. ვაშინგტონი კმაყოფილია. ამერიკელ პოლიტიკოსებს, პრეზიდენტით დაწყებული, მუდამ პირზე აკერიათ — მადლობა საქართველოს ავღანეთში ომისთვის.

იოლი საქმე ხომ არ არის ავღანურ ჯოჯოხეთში რომელიმე ქვეყნის, თუნდაც ნატოს წევრის, ჯარისკაცების გაგზავნა? ავღანეთში ომის დაწყებიდან დღემდე, ვაშინგტონი რას არ ეუბნებოდა ნატოელ პარტნიორებს ჯარის გაუგზავნელობის გამო და აი, საქართველო, მოხალისე ქვეყანა, ამერიკა-ევროპის მოტრფიალე, მზად იყო და არის სხვისი ტვირთის საზიდრად. ვაშინგტონს თხოვნაც არ სჭირდება, მით უმეტეს ბრძანება, ისე სწრაფად და წარბშეუხრელად უსრულებს საქართველოს ხელისუფლება სურვილს.

პრეზიდენტმა ობამამ მადლობა გადაგვიხადა ავღანეთისთვისო — ამბობს დღევანდელი ხელისუფლება და სიხარულით მეცხრე ცაზეა. ხუმრობა ხომ არ არის, აშშ-ის ცოცხალმა პრეზიდენტმა ობამამ ხელი ჩამოართვა ღარიბაშვილს, ფანჯიკიძეს, პეტრიაშვილს, სხვებს, თან შეაქო — კარგები ხართ ყველაფერშიო. მას შემდეგ საქართველოს დელეგაციას ხელი არ დაუბანია — აქაოდა ობამას ჩამოვართვითო.

ეიფორია კარგა ხანს გაჰყვება „ოცნებას“ და ხელის ჩამორთმევიდან დიდხანს მომავალში, იტყვის — აშშ-ის ადმინისტრაცია მხარს გვიჭერსო. ესეც თქვენ, ნაცებო. არ შეხვდებაო, რომ გაჰყვიროდით.

შეხვდებოდა, აბა რას იზამდა, ვინაიდან საქართველო იმ ვაშინგტონური პროექტის შემადგენელი ნაწილია, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მისი პოზიციების გამტკიცებისკენ არის მიმართული. ამ პროექტით საქართველო, რუსეთისთვის გამაღიზიანებელ ფაქტორად მოიაზრება. ეს სტატუსი საქართველომ შევარდნაძის დროს მიიღო. სააკაშვილის პირობებში მან მწვერვალებს მიაღწია.

არის თუ არა საქართველო, თავგასაპნულობის თვალსაზრისით, ისეთივე, რაც სააკაშვილის დროს, აი, ეს აინტერესებდა ვაშინგტონს. ამის გასარკვევად მიიწვია მან საქართველოს დელეგაცია ხანგრძლივი პერიოდით.




იხ. 8 გვ.

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის ბენეფიციართა მომსახურე ბანკის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აცხადებს კონკურსს მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის ბენეფიციართა მომსახურე ბანკის შერჩევის მიზნით.**

### 1. კონკურსის პირობები

1.1. კონკურსში (პროგრამაში) მონაწილეობისათვის ბანკს უნდა შეეძლოს პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართათვის 6 000 000 (ექვსი მილიონი) ლარის ოდენობით საკრედიტო რესურსის გამოყოფა, უზრუნველყოს პროგრამაში მონაწილეობის მსურველ ბენეფიციართა შერჩევა.

1.2. გამარჯვებული ბანკის გამოვლენის ძირითადი კრიტერიუმია ბენეფიციართათვის მაქსიმალურად დაბალი წლიური საპროცენტო განაკვეთის შეთავაზება და მათთან შესაბამისი სასესხო ხელშეკრულებების დადგენილი წლიური საპროცენტო განაკვეთის ფარგლებში გაფორმების ვალდებულება, იმ პირობით, რომ ბანკის წინაშე ბენეფიციარის ფულადი ვალდებულების წლიური საპროცენტო განაკვეთის არანაკლებ 3% დაფინანსდება ბენეფიციარის მიერ, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთის დარჩენილი წილი დაფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

1.3. ბანკი ვალდებულია ბენეფიციართან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული კრედიტის დაფარვის გრაფიკის შემუშავებისას, ბენეფიციარის მოთხოვნის შემთხვევაში, გაითვალისწინოს ტურისტული ბიზნესის სეზონური ხასიათი.

1.4. პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრება 3 წლით მისი ძალაში შესვლის დღიდან.

1.5. პროგრამის მიზნებისათვის ტურისტულ ბიზნესად ჩაითვალება საქმიანობა, რომელიც უკავშირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი კვების ობიექტის (კაფე, რესტორანი, ბისტრო, ბარი, სასადილო და სხვა), სასტუმროს (არაუმეტეს 50-ნომრიანი, მ.შ. საოჯახო ტიპის), გასართობი ობიექტის (ღამის კლუბი, დისკოთეკა, საბილიარდო, ბუნგალო და სხვა) მოწყობას (მშენებლობა, რეკონსტრუქცია, რემონტი) და სხვა ტურისტული საქმიანობა, ხოლო პროგრამის ბენეფიციარებად ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

### 2. კონკურსში მონაწილეობის წესი

2.1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში დადგენილი წესით ლიცენზირებულ კომერციულ ბანკს.

2.2. კონკურსში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის პირმა რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი;

ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

გ) ბანკის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) თუ პირი მონაწილეობს წარმომადგენლის მეშვეობით, დამატებით მინდობილობა და რწმუნებულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

### 3. კონკურსის ჩატარების წესი

3.1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია იმ პირს, რომელმაც დადგენილი წესით გაიარა რეგისტრაცია და მიიღო კონკურსში მონაწილის ბილეთი.

3.2. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაციას ახდენს რეგისტრატორი.

3.3. კონკურსს ატარებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია.

3.4. კონკურსის დაწყებამდე კომისია ამოწმებს მონაწილეთა კონკურსზე დაშვების კანონიერებას.

3.5. კონკურსს ატარებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ხსნის დახურული კონვერტების სახით წარმოდგენილ განაცხადებს და ვაჭრობის დაწყებისას აცხადებს მონაწილეთა მიერ შემოთავაზებულ საპროცენტო განაკვეთების ოდენობებს, რის შემდგომაც იწყება საჯარო ვაჭრობის პროცესი. ბიჯის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება 0,2%-ით. ერთი ბიჯის (არანაკლებ 0,2%-ი) შეთავაზება ნიშნავს წარმოდგენილი საპროცენტო განაკვეთის შემცირებას შესაბამისი ოდენობით. ვაჭრობის პროცესში პირველი და ყოველი შემდეგი ბიჯის შემოთავაზების რიგითობა განისაზღვრება განაცხადებით წარმოდგენილი დაბალი საპროცენტო განაკვეთების შესაბამისად. გამარჯვებული ბანკის გამოვლენის ძირითადი კრიტერიუმია ბენეფიციართათვის მაქსიმალურად დაბალი წლიური საპროცენტო განაკვეთის შეთავაზება.

3.6. თუ კონკურსში მონაწილეობს მხოლოდ ერთი მონაწილე, სავალდებულოა მის მიერ ერთი ბიჯის შეთავაზება მაინც.

3.7. ვაჭრობა დამთავრებულად ითვლება, თუ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ სამჯერ მოითხოვა საბოლოო ბიჯის შეთავაზება და ასეთი ვერ მიიღო.

3.8. კონკურსს დასრულებულად აცხადებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

3.9. კონკურსის გამართვისას, სხდომას სავალდებულოა ესწრებოდეს კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ნახევარზე მეტი.

3.10. კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს და კონკურსის ჩატარებას საერთო კოორდინაციას უწევს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

3.11. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კონკურსის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას, კომისიის წევრების ინფორმირებას კონკურსის დროის, თარიღისა და ადგილის შესახებ, საჯარო ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ ოქმის შედგენას და საჯარო ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა უფლებამოსილების განხორციელებას.

3.12. საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე კომისია ამოწმებს დაინტერესებული პირის კონკურსის მონაწილედ რეგისტრაციის კანონიერებას, ასევე, საჯარო ვაჭრობაზე გამოცხადებული პირის ვინაობას და რწმუნდება, რომ დაინტერესებული პირის კონკურსის მონაწილედ რეგისტრაცია განხორციელდა კანონიერად, ხოლო საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადებული პირი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში როგორც კონკურსის მონაწილემ ან/და კონკურსის მონაწილის წარმომადგენელმა.

3.13. თუ კომისია დაადგენს, რომ დაინტერესებული პირის კონკურსის მონაწილედ რეგისტრაცია განხორციელდა კანონდარღვევით, ასევე, საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადებული პირი არაუფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, როგორც კონკურსის მონაწილის წარმომადგენელმა, კომისია საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადებულ პირს უარს ეტყვის საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობაზე.

3.14. 3.13 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 2/3-ის ხმა.

3.15. საჯარო ვაჭრობის შესახებ კომისიის მიერ დგება საჯარო ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ ოქმი, რომელსაც ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი.

### 4. გარიგებათა გაფორმების წესი

4.1. საჯარო ვაჭრობის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს მხარეთა შორის ურთიერთობის ძირითად დოკუმენტს.

4.2. მხარეთა შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებაში სავალდებულოა გათვალისწინებულ იქნეს კონკურსის პირობები, საქართველოს კანონმდებლობით და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის ფორმები და სხვა მონაცემები გასაფორმებელი ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით.

4.3. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

### 5. სხვა პირობები

5.1. კონკურსი გაიმართება 2014 წლის 12 მარტს, $18^{00}$ სთ-ზე. მის: ქ. ბათუმი, მამია კომახიძის ქ. №119, პირველი სართული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სათათბირო ოთახი.

5.2. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაციას ახდენს რეგისტრატორი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქმისწარმოების განყოფილების უფროსი ვახტანგ ჩხარტიშვილი. მისამართი: ქ. ბათუმი, მამია კომახიძის ქ. №119, პირველი სართული.

5.3. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია იწარმოებს 2014 წლის 6 მარტიდან 12 მარტის ჩათვლით $10^{00}$ საათიდან $17^{00}$ საათამდე.

5.4. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია წარმოებს ზონარგაყრილ და დანომრილ „მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის ბენეფიციართა მომსახურე ბანკის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კომერციული ბანკების წინადადებათა რეგისტრაციის ჟურნალში“. რეგისტრაცია ხორციელდება რეგისტრირებული ნუმერაციის უწყვეტობის პრინციპის დაცვით.

5.5. კონკურსთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით საკონტაქტო პირია არჩილ სირაბიძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი (ტელ: 27-35-10 (106); მობ: (577) 46 66 33.

---

**ქველმოქმედება**

## საწოლის თეთრეული და პირსახოცები – ლოგინს მიჯაჭვული მოხუცებისათვის

**სასტუმრო „Rooms Hotel“-მა საქველმოქმედო ფონდ „სოციალურ პარტნიორობას“ უსასყიდლოდ გადასცა თეთრეული და პირსახოცები ფონდის ხანდაზმული ბენეფიციარებისათვის.**

საქველმოქმედო ფონდ „სოციალური პარტნიორიბის“ მოღვაწეობის ერთ-ერთი მიმართულებაა უფასო დახმარების გაწევა ხანდაზმული ადამიანებისთვის. სოციალური მუშაკები და ექთნები ყოველდღიურად (უქმეებისა და დღესასწაულების ჩათვლით) ეხმარებიან 300 მწოლიარე და შეზღუდული გადაადგილების მქონე მოხუცებს და ადგილზე უწევენ მათ სამედიცინო დახმარებას, უზრუნველყოფენ საჭირო მედიკამენტებითა და კვებით. ხშირად, ჩვენი თანამშრომლები ამ ადამიანებისთვის გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ ერთადერთ წყაროს წარმოადგენენ.

„ჩვენ გვჯერა, რომ შეგვიძლია, შევცვალოთ ამ ხალხის ცხოვრება უკეთესობისკენ, იმედი მივცეთ მათ! სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესი — ეს საზოგადოების განვითარების თანამედროვე ტენდენციაა მთელ მსოფლიოში. გულწრფელად მადლობას ვუხდით „Rooms Hotel“-ს თანადგომისთვის, რაც ბენეფიციარებს გაუწიეს საქართველოში.

ჩვენი ფონდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სხვა ორგანიზაციების თანადგომა ჩვენი პროგრამების მიმართ. მინდა ყველა ორგანიზაციას და ყველა არაგულგრილ ადამიანს ვთხოვო, დაეხმარონ ჩვენი ფონდის პაციენტებს ნებისმიერი ხელმისაწვდომი საშუალებებით, რადგან მხოლოდ ერთად თუ შევუმსუბუქებთ გაჭირვებულ ხალხს ცხოვრებას! — აცხადებს ფონდის პრეზიდენტი გიორგი ქვრივიშვილი.

საქველმოქმედო ფონდი „სოციალური პარტნიორობა“ დაარსდა 2012 წლის აპრილში. ფონდი წარმატებით ახორციელებს შემდეგ საქველმოქმედო პროგრამებს: შინ მოვლა (ვეხმარებით ლოგინს მიჯაჭვულ ხანდაზმულებს), მცირე საოჯახო ტიპის სახლი, ფულადი დახმარება სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს.

**ინგა ბაგალიშვილი,**
ააიპ „სოციალური პარტნიორობის“ გენერალური მენეჯერის თანაშემწე

---

**ალიან-ჩალიანი**

## პირობით ვადამდე 106 მსჯავრდებული გათავისუფლდა

**2014 წლის 4-5 მარტს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოებისა და კომისიის სხდომები გაიმართა. კომისიისა და საბჭოების გადაწყვეტილებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებები 106 მსჯავრდებულმა დატოვა, მათ შორის 2 არასრულწლოვანია და 13 ქალბატონი. სასჯელი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით შეეცვალა 4 მსჯავრდებულს, რომელთაგანაც 2 ქალბატონია.**

**სამინისტროს ინფორმაციით, სხდომებზე 800-მდე მსჯავრდებულის შუამდგომლობა განიხილეს, კერძოდ მათი, ვისაც მოხდილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაულზე — სასჯელის ნახევარი, მძიმეზე — 2/3, ხოლო განსაკუთრებით მძიმეზე — 3/4.**

ინტერპრესი

სამართალი ჯერაც მშიერია!

# აქა ამბავი „დამთხვეულებისა“, ანუ კიდევ რამდენი ამხელს „უფლებადამცველ“ ონიანს?

**23 თებერვალს**, როცა ადვოკატი გიორგი ონიანი დააკავეს, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამას მაშინვე პოლიტიკური შეფასება მისცა — ონიანი იმიტომ დააპატიმრეს, რომ ბაჩო ახალაიას იცავდაო. დაკავებიდან მეორე დღეს ყოფილმა პატიმარმა დავით შათირიშვილმა პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე ის დააკავეს, ხოლო ონიანის მითითებით მარიხუანა ჩაუდეს და სასჯელიც მიუსაჯეს. შათირიშვილი „დაო-პრინტის“ მენეჯერი გახლდათ და სწორედ ეს ფირმა ამზადებდა „ქართული ოცნების“ ლოგოიან მაისურებს. სასამართლომ ონიანი თავდებით გაათავისუფლა, ხოლო „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შათირიშვილი, ლამის, ერის მოღალატედ გამოაცხადა — ონიანზე ასეთი რამ როგორ თქვიო. შეგახსენებთ, რომ იმ პერიოდში ონიანი გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობდა...



4 მარტს კი, ლევან მდინარაძემ, იგივე დი-ჯეი „რემბომ“ პრესკონფერენცია გამართა და შემდეგი განაცხადა:

**„ნიკოლაძის ქუჩაზე ვიმყოფებოდი, სადაც „ქართული ოცნების“ მაისურები უნდა დამერიგებინა, როდესაც სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა ხელები გადამიგრიხეს და ავტომანქანაში ძალით ჩამსვეს, რომლის წინა სავარძელზე გოგა ონიანი იჯდა. მათ მითხრეს, რომ სახელმწიფოს ღალატი მედებოდა ბრალად, რადგან „ქართული ოცნების“ მაისურებს ვარიგებდი. ასე მიმიყვანეს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოსთან, თუმცა წინა მხრიდან არ შემიყვანეს, რადგან ონიანმა უთხრა, ხმაური რომ არ ატყდეს, უკანა კარიდან შედითო. უკვე ოთახში ონიანმა დამიწყო დაკითხვა და მუდმივად მიმეორებდა, რომ მე სახელმწიფოს მოღალატე ვიყავი. პარალელურად ის დაკითხვის დროს შეურაცხყოფას მაყენებდა. მითხრა, ვინც მაისურებს ბეჭდავს და არიგებს, ყველას დავიჭერთო. მერე გავიგე, რომ შათირიშვილიც დაკავებული იყო. მოულოდნელად ბრალდება შეცვალეს და მითხრეს, რომ ნარკოტიკების შეძენა-მოხმარებისთვის დამაკავეს. ნარკოლოგიური შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ მომხმარებელი არ ვიყავი და თავადაც ვაცხადებდი, რომ ნარკოტიკებთან არანაირი კავშირი არ მქონდა. ონიანი გაბრაზდა და დამემუქრა, რომ 7 წელს მომისჯიდა. ამის მიუხედავად, ჩემგან ვერც ერთ ბრალდებაზე თანხმობა ვერ მიიღეს, რასაც კვლავ მოჰყვა შეურაცხყოფა, სახეში რამდენჯერმე გამარტყეს. შემდეგ გამჩხრიკეს და ჩემი ხელით ამოვალაგე, რაც ჯიბეში მქონდა - ფული და საღეჭი რეზინი, მობილური ტელეფონი მანამდე წამართვეს, საფულეს კი არ ვატარებ. შემდეგ ჩვენების ოქმზე ხელის მოწერას მთხოვდნენ, თუმცა წაკითხვის შემდეგ აღმოვაჩინე, თურმე, რაღაც თეთრი ქაღალდი აღმომაჩნდა ჩხრეკისას, რაზეც უარი ვუთხარი. საბოლოოდ, იძულებული გამხადეს, ოქმზე ხელი მომეწერა, თუმცა ვთქვი, რომ რაც არ ჩამიდენია, იმას არ ვაღიარებდი. ამის მერე უკვე წინასწარი დაკავების იზოლატორში გადამიყვანეს, შემდეგ კი 10 000-ლარიანი გირაოთი გამათავისუფლეს. ამ ხელისუფლების პირობებში ამნისტია შემეხო და გადახდილი თანხა უკან დამიბრუნდა. იმედი მაქვს, რომ ჩემი აღნიშნული განცხადებით პროკურატურა დაინტერესდება, რის შემდეგაც მე ონიანის წინააღმდეგ ჩვენებას მივცემ“...**

რა გამოდის? ჯერჯერობით ორი ადამიანი გიორგი ონიანს ერთსა და იმავე ბრალდებას უყენებს და, რაც მთავარია, ორივე მაშინ არის დაკავებული და ერთი და იმავე მიზეზით გასამართლებული, როცა ერთი „ქართული ოცნების“ მაისურებს ამზადებდა, მეორე კი მათ ავრცელებდა. დავუშვათ ეს დამთხვევაა და დამთხვევაა ისიც, რომ ორივეს ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდათ. დამთხვევაა ისიც, რომ არც ერთის ორგანიზმში არ აღმოჩნდა ნარკოტიკი, დამთხვევაა ისიც, რომ ორივენი ერთნაირად აღწერენ იმას, თუ როგორ იქცეოდა ონიანი და... ვისაც ამდენი დამთხვევების სჯერა (და საპარლამენტო უმცირესობას აშკარად სჯერა), თავადაც გვარიანი დამთხვეული უნდა იყოს... ვინმესთან ან რამესთან.

სხვათა შორის, გათავისუფლების შემდეგ დი-ჯეი „რემბოს“ ბიძინა ივანიშვილი შეხვდა. „რემბო“ და ბერა ივანიშვილი მეგობრობენ და ერთად მუსიკალურ პროექტებსაც ახორციელებდნენ, რაც მის დასაკავებლად დამატებითი სტიმული იქნებოდა. იმ შეხვედრაზე ბატონმა ბიძინამ ასეთი რამ თქვა: **„ძალადობას მომავალი არ აქვს, ყველგან იმარჯვებს თავისუფლება. სიმართლის მაძებარ კაცს ალტერნატივა არ აქვს, დროის ამბავია, უბრალოდ. საკაშვილს უნდა ისტორია გადაწეროს და ბატონყმობას დაუბრუნდეს და პოლიციის შიშით შეინარჩუნოს ხელისუფლება, მაგრამ არ გამოვა არაფერი. შვილივით მიყვარს ირაკლი ღარიბაშვილი და იმის სიმამრსაც ავტომატი ჩაუდეს. 11-ში ის დაიჭირეს, 17-ში შენ. ბოლო მოეღება ამას და ამას წერტილს ქართველი ხალხი დაუსვამს“...**

ეჭვი გვაქვს, კიდევ არაერთი ადამიანი გამოჩნდება, ვინც ონიანის „კარგ პოლიციელობაზე“ ისაუბრებს და პროკურატურაც უფრო დაინტერესდება. მერე ვეღარ იტყვის ზაზა ხატიაშვილი, მე ადვოკატს ვიცავო. ადვოკატობამდე „უფლებადამცველი“ ონიანი სამართალდამცავი იყო, მაგრამ უკვე ორი უმძიმესი ბრალი აქვს წაყენებული.

**ნიკა ასლანიძე**

# ადვოკატ გოგა ონიანს ბრალი დაუმძიმდა

**ადვოკატ** გოგა ონიანს კიდევ ერთი ბრალი წარედგინა. როგორც მთავარ პროკურატურაში განაცხადეს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ თბილისის შს მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს უფროსის ყოფილ მოადგილეს გიორგი ონიანს კიდევ ერთი ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, სამსახურებრივი სიყალბისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ მტკიცებულებების ფალსიფიკაციის, ასევე პოლიტიკური დევნისა და განზრახ უკანონო დაკავების ფაქტზე წარუდგინა.

„ინტერპრესნიუსი“ მთავარი პროკურატურის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

> **„გამოძიებით დადგინდა, რომ 2011 წლის 17 ოქტომბერს, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო, გიორგი ონიანის მიერ კიდევ ერთი პირის დევნა განხორციელდა და ყოველგვარი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე უკანონოდ იქნა დაკავებული კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ლევან მდინარაძე (საზოგადოებისთვის ცნობილი ზედმეტსახელით დიჯეი „რემბო“). გ. ონიანის ბრძანებით დაკავებული გადაყვანილი იქნა გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში ისე, რომ მას ჩხრეკა არ ჩატარებია.**
>
> **ლევან მდინარაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის ხელოვნურად შექმნისა და მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის მიზნით, გიორგი ონიანმა საქმის გამომძიებელს წარუდგინა ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა და დაავალა, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში აესახა ამ ნარკოტიკული საშუალების ლევან მდინარაძისაგან ამოღების ფაქტი, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია. ამასთან, საუბრისას გიორგი ონიანმა უკანონოდ დაკავებულ ლევან მდინარაძეს განუცხადა, რომ იგი ისჯებოდა „ქართული ოცნების“ ლოგოიანი მაისურების გავრცელების გამო.**
>
> **ლევან მდინარაძის მიმართ უკანონოდ განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 11 წლამდე ვადით.**
>
> **აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისათვის გიორგი ონიანს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის პირველი ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 333-ე მუხლის პირველი ნაწილით და 3691 მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას რვა წლამდე ვადით.**
>
> **საზოგადოებას შევახსენებთ, რომ გიორგი ონიანისთვის ეს უკვე მეორე ბრალდებაა. პირველ შემთხვევაში მან პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ ლოგოიანი მაისურების დამზადებისთვის, ზემოხსენებულ ფაქტამდე 2 დღით ადრე შპს „დაო-პრინტის“მენეჯერი დავით შათირიშვილი იდენტური სცენარით უკანონოდ დააკავა. აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაკავებულ იქნა გიორგი ონიანი, რომელსაც 2014 წლის 26 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, აღკვეთის ღონისძიების სახით საპატიმრო გირაო 20 000 ლარის ოდენობით შეეფარდა. მთავარი პროკურატურის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში, სადაც პროკურატურა კვლავ მოითხოვს მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას. ამ ეტაპზე გამოძიება გრძელდება“,** — ნათქვამია განცხადებაში.

ალიან-ჩალიანი

# კორუფციული თემა საბავშვო ბაღებში

**დედაქალაქის** საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე საბავშვო ბაღებში თბილისის მერიის მიერ განხორციელებულ კორუფციულ თემაზე საუბრობს.

როგორც გულიკო ზუმბაძემ გუშინ პრესკონფერენციაზე განაცხადა, 2008 წელს თბილისის მერიის საფინანსო სამსახურის ყოფილი უფროსის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სპეციალურად თბილისის საბავშვო ბაღების აუდიტორული მომსახურებისთვის შეიქმნა კომპანია „დაუ პლიუსი“. ზუმბაძის ინფორმაციით, აღნიშნული კომპანია წლების განმავლობაში აფორმებდა ხელშეკრულებებს თბილისის საბავშვო ბაღებთან და 250-300 ლარის ფარგლებში მათ ბუღალტრულ აუდიტორულ მომსახურებას უწევდა.

— ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ „დაუ პლიუსს“ დაწყებული აქვს ახალი ხელშეკრულებების გაფორმება ბუღალტრული მომსახურებისთვის თითოეულ საბავშვო ბაღთან უკვე თვეში 400 ლარის გადახდის პირობით. ხელშეკრულების პირობებს დაემატა იურიდიული მომსახურება 2019 წლამდე, რაც ჯამში შეადგენს 3 მილიონ 792 ათას ლარს. ეს გახლავთ კორუფციის კლასიკური ნიმუში. ამ შემთხვევით სამართალდამცავი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ, — აღნიშნა გულიკო ზუმბაძემ.

მან საბავშვო ბაღების დირექტორებს მიმართა, პასუხისმგებლობით მოეკიდონ ბიუჯეტის თანხების ხარჯვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და იქვე განმარტა, რომ დირექტორებს აქვთ სრული უფლება, გარკვეული მომსახურების გაწევისათვის, თავად აირჩიონ ნებისმიერი იურიდიული პირი. ამასთან, საკრებულოში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე არასამთავრობო ორგანიზაცია ანტიკორუფციული კავშირის ხელმძღვანელმა გიორგი ბურჯანაძემ განმარტა, რომ კომპანია „დაუ პლიუსი“ დაარსდა 2008 წელს და მას ხელმძღვანელობდა თბილისის მერიის საფინანსო სამსახურის ყოფილი უფროსის დავით ხოსიტაშვილის წარმომადგენელი დავით უთმელიძე. მისივე ინფორმაციით, 2010 წელს, მას შემდეგ, რაც ხოსიტაშვილმა თანამდებობა დატოვა, იგი კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა და „დაუ პლიუსში“ საქმიანობა დაიწყო.



როგორც გიორგი ბურჯანაძემ აღნიშნა, მისი მიმართულება საბიუჯეტო სახსრების გადასროლა იყო „იმ ჯიბეებში, რომლებიც გარკვეულწილად რაღაც საქმიანობას აფინანსებდნენ“. ამასთან, ანტიკორუფციული კავშირის ხელმძღვანელის თქმით, მსგავსი მიმართულებები იკვეთება სხვა კუთხითაც, კერძოდ, მისი ინფორმაციით, ბაგა-ბაღების მომარაგებას აწარმოებს კომპანია „ფუდსერვისი“, რომელიც, ბურჯანაძის თქმით, გეგენავების ბიზნესია. როგორც მან აღნიშნა, რამდენიმე შპს ჩანაცვლების მექანიზმზე მუშაობს „ფუდსერვისთან“ მიმართებაში და შედეგად პროდუქტის ხარისხი გაუმჯობესდა და ფასმა დაიწია. გიორგი ბურჯანაძის თქმით, ანალოგიური მექანიზმი ამუშავდება უახლოეს მომავალში ბაგა-ბაღებში სხვა მომარაგების კუთხითაც.

**ინტერპრესი**

**ვითარება**

# ანტირუსულად „დაწნეხილი" ქართული ტვინი

(მეხუთე გვერდიდან) დელეგაციამ დაარწმუნა ვაშინგტონი საკუთარ კეთილგანწყობაში, მუყაით შემსრულებლობაში და მრავალ ისეთ რამეში, სააკაშვილსაც რომ შეშურდებოდა.

აქაოდა ობამა დაგველაპარაკაო, ისე აიშვეს ჩვენებმა, განსაკუთრებით პრემიერმა, შეხვედრა არ დატოვა, რუსეთი არ ეგინებინა. მან მოუწოდა აშშ-სა და ევროპას დაიცვან უკრაინა რუსული აგრესიისგან.

გახსოვთ, ალბათ, სააკაშვილის მოწოდებები ამერიკა-ევროკავშირისადმი: თქვენ რუსეთი არ იცით, რა მზაკვარია, ამიტომ იბრძოლეთ მის წინააღმდეგ დღისით და ღამით, დარში და ავდარშიო.

მსოფლიოს ფარულ მსმენელს, მრავალი სადაზვერვო ორგანიზაციის პატრონს, მოწინააღმდეგის, მათ შორის რუსეთის პოლიტიკოსთა საწოლებში მიმდინარე ამბების მცოდნეს, გულს უხარებდა თავისი აღზრდილის ესოდენი „თავდადება", თორემ ყველაფერში ინფორმირებული ვაშინგტონისთვის რაღა საჭირო იყო სააკაშვილის შეგონება და ჭკუის დარიგება?!

შვილი მამას სექსს ასწავლიდაო – ასე გამოსდიოდა სააკაშვილს და ვაშინგტონიც იღებდა. ვაშინგტონმა ამჟამადაც მიიღო – ღარიბაშვილისგან. დაეხმარება ვაშინგტონი ყველას, მით უმეტეს უკრაინას ანტირუსულ საქმეში და რომ ეს ასე იქნება, ღარიბაშვილის შეხსენება არ სჭირდება.

არ სჭირდება, მაგრამ ხომ არ გაუწყრებოდა? პირიქით, თავზე ხელი გადაუსვა და სიფხიზლე შეუქო, განსაკუთრებით პროამერიკული განწყობა, რამაც მთლად გადარია დელეგაციის წევრები. და იყო „ბორდერიზაციის" წალმა-უკუღმა ტრიალი, ამერიკელთა ფიცი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და აგრესიის დროს მხარში დგომისა.




ერთი სიტყვით, დელეგაციის და მისი ხელმძღვანელის ვაშინგტონში „სმოტრინებმა" (რუსეთში, სასიძოზე დასაკვირვებლად მიპატიჟება) წარმატებით ჩაიარეს. ისე, წარმატებით, რომ კრიტიკოს ნაცებსაც აღარაფერი დარჩათ საქილიკოდ.

ერთი ეს არის – ქვეყანას რა დარჩა. დარჩაო, გვიმტკიცებენ. ეს მტკიცებაც ნაცნობია, – შევარდნაძე-სააკაშვილის ჟამის მსგავსი. ჩვენ კი ველით მოთმინებით. მეტი რა გზა გვაქვს და ვუსმენთ ჩიქოვან-ცაგარეიშვილის ზღაპრებს გამყიდველ ქართველებზე – ორჯონიკიძეებზე, სტალინზე, სხვა ბოლშევიკ ბელადებზე, მოღალატეებზე.

მაინც რატომ არიან ისინი მოღალატეები?

ეს თემა განსაკუთრებულ აქტუალობას თებერვალში იძენს – საქართველოს გასაბჭოების დღეებში. მენშევიკებმა ორი გემით დატოვეს საქართველო, ამბობდა მავანი ისტორიკოსი იმავე რადიოში. და არ სვამს კითხვას, რატომ გაიმეტა საქართველომ მენშევიკური ხელისუფლება, რატომ არავინ გამოვიდა, თითო-ოროლას გარდა, მის დასაცავად; რატომ ვერ დარაზმა მთავრობამ ხალხი ბოლშევიკებთან საომრად?

იმიტომ ხომ არა, რომ ხალხს არ სწამდა მენშევიკების?

ეს საკითხი, ზოგს რომ შესწავლილი ჰგონია, ხელახალ, ობიექტურ, მიუკერძოებელ კვლევას საჭიროებს და არა ტენდენციურ სააკაშვილისეულ და მისთანათა განმარტებას. მაგრამ ჩვენ ის ვართ, გუშინდელ ისტორიას რომ ვაყალბებთ და გუშინწინდელს რას ვუზამთ?!

ჯერაც დასადგენია 70-წლიანმა საბჭოთა მმართველობამ თუ ნაცთა 9-წლიანმა ბატონობამ, რა მოუტანა ქვეყანას. ისიც ნათელია, რა წარმატებებს მიაღწია საბჭოთა პერიოდში საქართველომ. არ არის არც ერთი დარგი ეკონომიკურ-კულტურული ცხოვრებისა, სადაც საბჭოთა საქართველოს უდიდესი მიღწევები არ ჰქონოდა.

დღევანდელ გაპარტახებულ, დაცემულ და სხვის უკანალში შემძვრალ საქართველოს უკვირს იმჟამინდელი წარმატებები. უკვირს და ვერც დაუჯერებია, მართლაც ამხელა წარმატებები იყოო?

წარმატებები იყო და არა მარტო აქ, არამედ ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში, მით უმეტეს რუსეთში. სოჭის ოლიმპიური თამაშების წარმატებით დასრულების შემდეგ, გახარებული რუსები ხმამაღლა გაჰყვიროდნენ – საბჭოთა გუნდის წარმატებებს გავუსწარითო. ეს ზამთრის სპორტში მხოლოდ, სხვაში?

სხვაში, ბოდიში, მაგრამ 15-20 წელი დასჭირდება რუსეთს საბჭოთა დონის მისაღწევად.

1941 წლის დეკემბერში წითელი არმიის უკან დახევით შეფიქრიანებულმა სტალინმა თავის თანამებრძოლებს გაღიზიანებულმა უთხრა - ლენინმა ქვეყანა დაგვიტოვა, ჩვენ კი „პრასრალიო". ალბათ ეს იყო ერთადერთი უწმაწური სიტყვა, რომელიც მას წამოსცდა. თუ რით დასრულდა ფაშისტური გერმანიის წინსვლა, ყველასთვის ცნობილია. წითელმა არმიამ სტალინის გონებაგამჭრიახობით არათუ სამშობლოდან განდევნა მტრის ჯარი, არამედ ბერლინამდე სდია, გერმანიაც გაყო და აღმოსავლეთ ევროპაც სოციალისტურ ბანაკად აქცია.

საინტერესოა, დღეს რომ ის სამარიდან წამოდგეს და ცალი თვალით გადახედოს თავის დანატოვარს, მისმა მემკვიდრეებმა ხრუშჩოვმა, ბრეჟნევმა, გორბაჩოვმა, ელცინმა რომ ხელგაშლილად არიგეს, რას იტყვის? რას იტყვის სოციალისტური ბანაკის, საბჭოთა კავშირის დაშლის გამო? რას იტყვის ყირიმში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით?

ეს, ის ყირიმია, რომელიც 1954 წელს, ვოლუნტარისტულად გადასცა ხრუშჩოვმა უკრაინას - იქაური ანტინიკიტურად განწყობილი პარტიული ბოსების გულის მოსალბობად.

საბჭოთა კომპარტიაში გაჩენილმა კორუფციულმა „ბაცილამ" დაღრნა პარტიის მონოლითურობა და მასთან ერთად უდიდესი კომუნისტური იმპერია. საბჭოთა კავშირში შემავალი ერები სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდა ერთმანეთს. რა იყო ის ძალა, რომელიც ასე ძლიერად მოქმედებდა?

ამ ძალის წარსულში მოხსენიება უდიდესი შეცდომა იქნება. ეს, ძალა დღესაც მოქმედებს არანაკლები სიძლიერით, მეტით თუ არა. არ იშურებს ფულს, ენერგიას კომუნისტური სისტემის მემკვიდრეების, უპირველესად რუსეთის გასანადგურებლად, დასაშლელად. 1992 წლიდან დღემდე გაათკეცებული ძალით ცდილობს, ერთმანეთს დაატაკოს უკრაინელი და რუსი, ქართველი და რუსი, აზერბაიჯანელი და სომეხი, ბელორუსი და უკრაინელი, მოლდოველი და რუსი და ა.შ. და არა მარტო ისინი, არამედ უკრაინელი - უკრაინელს, რუსი – რუსს, ქართველი – ქართველს, ...

ამ ძალამ აღაზევა საქართველოში ქართველთა მოძულე ნაციონალური მოძრაობა და მისი ბელადი სააკაშვილი. ამ ძალამ გაჰყარა სამსახურებიდან 40 წლის ასაკს ზევით ადამიანები. ამ ძალამ დაასვა თავს საშუალო და მეტი ასაკის გამოცდილ ადამიანებს უცოდინარი, ბრიყვი, ბოროტი ახალგაზრდობა. ეს ძალა მოუწოდებს მათ გაპედარასტებისკენ. ეს, ის ძალაა, რომელიც აიძულებს ქართველს, ლუკმა-პური უცხოეთში ეძიოს და ცენტების ფასად უკანალი ბანოს ამერიკელ, ფრანგ, გერმანელ, ... პენსიონერსა და დავრდომილს.

ამ ძალამ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდა ერთმანეთს დასავლეთი და აღმოსავლეთი უკრაინა, ორივე კი – რუსეთს. ეს, ის ძალაა, თვით ნორმალურ ამერიკელშიც რომ აღშფოთებას იწვევს. თვალი გადავავლოთ აშშ-ის ფინანსთა მინისტრის ყოფილი თანაშემწის პოლ კრეიგის სიტყვებს: **„რუსეთის გასანეიტრალებლად ვაშინგტონმა რეიგანისა და გორბაჩოვის შეთანხმება დაარღვია, ნატო ყოფილი საბჭოთა იმპერიის ტერიტორიაზე გააფართოვა და ახლა განზრახული აქვს, ნატოში შეიყვანოს თვით რუსეთის ყოფილი ნაწილები - საქართველო და უკრაინა....**

**ბევრს გულუბრყვილოდ ჰგონიათ, რომ ამერიკა საუკეთესო ადგილია, მსოფლიოსთვის სამაგალითო ქვეყანა, რომლისაც უნდა გწამდეს. ეს მცდარი მრწამსი იმ დროს გამოვლინდა დასავლეთ უკრაინაში, როდესაც აშშ ცდილობს ამ ქვეყნის დესტაბილიზაციას და ხელში ჩაგდებას. დესტაბილიზაციის იარაღს აშშ იყენებს რუსეთში, ვითარების აბუნტების მიზნით. თუკი ვაშინგტონი შეძლებს უკრაინაში გადატრიალების მოწყობას, რუსეთი, როგორც წინაღობა აშშ-ის ჰეგემონიისა მსოფლიოზე, ლიკვიდირებული იქნება. რჩება მხოლოდ ჩინეთი".**

აშშ-რუსეთის დაპირისპირება უსერიოზულეს სახეს იღებს, შესაბამისი გართულებებით, რომელიც არც ერთ მათგანს წარმატებას არ მოუტანს და თუ მოუტანს, მხოლოდ დროებით. **სამწუხაროა, რომ დიდთა ჭიდილში არშემდგარი პატარა საქართველოა გაჩხერილი, როგორც მეტიჩარა თხა მეჩხერ ღობეში. სამწუხაროა, რომ 23 წლის განმავლობაში საქართველოს ანტიეროვნული ხელისუფლება ჰყავდა და ჰყავს, რომელთა გამოისობით ქვეყანა ურთულეს ეკონომიკურ-სოციალურ მდგომარეობაშია, მით უმეტეს პოლიტიკურში.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

## პლანეტის მაჯისცემა



### როგორ „მოატყუეს" იანუკოვიჩი

პრესკონფერენციაზე უკრაინის პრეზიდენტმა დაიჩივლა, რომ იგი გაყიდეს. დიპლომატიური წყაროების მონაცემებით, ასეც იყო: დასავლეთი იძლეოდა 21 თებერვლის შეთანხმების შესრულების გარანტიას, მაგრამ დაარღვია დაპირება. ახლა კი „თავს გვაჩვენებს", რომ არაფერი ყოფილა და არწმუნებს რუსეთს აწარმოოს დიალოგი კიევის ახალ ხელისუფლებასთან. ამავე დროს იმუქრება სანქციებით და დიდი რვიანიდან დე ფაქტო გამორიცხვით.

### აშშ იკვლევს დაზვერვის მუშაობას, რომელმაც ვერ შენიშნა რუსეთის გეგმები „უკრაინაში შეჭრასთან დაკავშირებით"

გასულ ხუთშაბათს, 27 თებერვალს, კონგრესის წევრებს წაუკითხეს მოხსენება, რომელშიც საუბარი იყო იმის შესახებ, რომ მოსკოვი ძნელად რომ გადავიდეს გადამწყვეტ ზომებზე, მიუხედავად რუსეთის ჯარების სწავლებისა უკრაინის საზღვართან და რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდების გადაყვანისა სევასტოპოლის მახლობლად, გამოარკვია პრესამ.

### ბარაკ ობამამ წინასწარ უარი განაცხადა გაემგზავროს დიდი რვიანის სამიტზე სოჭში

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი უარს აცხადებს, მიიღოს მონაწილეობა ივნისის სამიტზე, უკიდურეს შემთხვევაში, მანამ, სანამ „მოსკოვი არ დაიხევს უკან უკრაინის პრობლემასთან დაკავშირებით". დიდი რვიანის წევრი ქვეყნები უახლოეს კვირებში ერთმანეთს შეხვდებიან ურუსეთოდ „დიდი შვიდიანის" ფარგლებში.

### კანადამ უკრაინის გამო შეაჩერა რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობა

„დღეს დილით გავეცი განკარგულება, შეჩერდეს ყველა დაგეგმილი ორმხრივი კონტაქტები კანადის შეიარაღებულ ძალებსა და რუსეთის ფედერაციის სამხედროებს შორის. ეს მოიცავს სწავლებებს, როგორიცაა „ფხიზელი არწივი" და „დაგეგმილი შეხვედრები", – განაცხადა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა სტივენ ჰარპერმა თავის განცხადებაში.

### ობამამ და მერკელმა გადაწყვიტეს, დასვან მოსკოვი და კიევი მოლაპარაკების მაგიდასთან

ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ლიდერებმა მორიგი სატელეფონო საუბრის დროს უკრაინაში განვითარებულ სიტუაციასთან დაკავშირებით გადაწყვიტეს, რომ პირდაპირ საუბრებს მეზობლებს შორის შეუძლიათ მოახდინონ ვითარების დეესკალაცია.

### ტიმოშენკო სამედიცინო ოპერაციისთვის ემზადება

„ვაპირებ ოპერაციას. ვფიქრობ, ეს იქნება სადღაც 8-9 მარტს. ესე იგი, პრაქტიკულად, გადაუდებლად", – განაცხადა მან ტელერადიო კომპანია ბიბისისთვის მიცემულ ინტერვიუში. „მე ყველაფერი წესრიგში მექნება უახლოესი ოპერაციის შემდეგ", – დაუმატა ტიმოშენკომ.

### ყირიმი მზად არ არის მოლაპარაკებისთვის ავტონომიის შესახებ „არალეგიტიმურ ხელისუფლებასთან"

პრემიერ-მინისტრ სერგეი აქსიონოვის სიტყვებით, საკითხს ყირიმის ავტონომიის შესახებ გადაწყვეტენ ნახევარკუნძულის მცხოვრებლები. აქსიონოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყირიმის ხელისუფლება მხარს დაუჭერს მოსახლეობის ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ამ დროს სასამართლომ კიევში შეაჩერა აქსიონოვის დანიშვნისა და რეფერენდუმის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების მოქმედება.



**მთამსვლელ ჯაფარიძეთა ღირსეული შთამომავლის, მკვლევარისა და ჟურნალისტის, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის ვიცე-სპიკერის, ქართული ალპინიზმის მემატიანის ივანე ჯაფარიძის საოჯახო ალბომში უამრავი ძვირფასი ფოტოსურათია შემონახული, რომელიც ალპინიზმის ისტორიის საინტერესო ფურცლებს გვიშლის. ამჯერად ერთი ფოტოსურათის ისტორიას გაგაცნობთ, დანარჩენ მოგონებებს კი გაზეთის სხვა ნომრებისთვის შემოვინახავთ.**



1934 წ. I რიგში: მაკრინე ქურდიანი, ეგნატე გაბლიანი, ალიოშა ჯაფარიძე, ლევან მარუაშვილი. II რიგში: სანდრო გვალია, ბექნუ ხერგიანი, ალექსანდრა ჯაფარიძე, სოსო ასლანიშვილი, III რიგში: გიო ნიგურიანი, იაგორ კაზალიკაშვილი, გერმანე მემანიშვილი (მაკრინე ქურდიანის მეუღლე).

# „სიკვდილიც ვერ დამაშორებს ჩემს სვანეთს“

ᲗᲥᲕᲔᲜᲡ წინაშეა ისტორიული პიროვნებების ისტორიული ფოტო, რომელიც გადაიღო მიქელ პატარიძემ 1934 წელს სოფელ უშხვანარში – მაკრინე ქურდიანისა და გერმანე მემანიშვილის ოჯახში, უშბაზე პირველი ქართული და საბჭოთა ასვლის აღსანიშნავად, მწვერვალიდან დაბრუნების შემდეგ.

„მთამსვლელთა დედის“ მაკრინე ქურდიანის თბილ კერას მრავალი გამოჩენილი მთამსვლელი, მეცნიერი და მოგზაური მოუხიბლავს. ზემო სვანეთში არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი საქმე, რომლის აქტიური მონაწილე მეუღლესთან, ბრწყინვალე ვაჟკაც **გერმანე მემანიშვილთან** ერთად მაკრინე ქურდიანი არ ყოფილიყო, მთამსვლელობაში კი იგი, უშბის ცოცხალი მემატიანე იყო.

გერმანე მემანიშვილი მღვდელი იყო. ბოლშევიკებმა ანაფორა გახადეს და ომის დაწყებისთანავე ომში გაიწვიეს, საიდანაც აღარ დაბრუნებულა.

1929 წელს სვანეთს ამერიკელთა კინოექსპედიცია ესტუმრა უშბის მიდამოების, კავკასიონის მწვერვალებისა და სვანეთის პეიზაჟების გადასაღებად. ექსპედიციის ერთ-ერთ წევრს თავში ქვა მოხვედრია და თავგატეხილი მაკრინეს ჭიშკარს მისდგომია. დიასახლისს გაჭირვებული სტუმარი შინ შეუყვანია, დახმარება აღმოუჩენია, თავი შეუხვევია და შესანიშნავი იუმორის მქონეს თავისებურად „გაუმხნევებია“: „არა უშავს, უშბის სამახსოვროდ დაგრჩებაო“.

ერთ საღამოს მაკრინე ქურდიანისა და გერმანე მემანიშვილის ეზოში დიდი მხიარულება სუფევდა: თეთრ ქართულ კაბებში გამოწყობილ ქალებს, სვანურ ქუდებსა და შავ ჩოხებში გამოწყობილ კაცებთან ერთად, ფერხული გაემართათ. განცვიფრებულ სტუმრებს ეს არაჩვეულებრივი ლხინი გადაუღიათ და ბევრი რამ ჩაუწერიათ სვანური ადათისა და წეს-ჩვეულებების შესახებ. ბოლოს ამერიკელ ლინგვისტს ქართულის მცოდნე მოუკითხავს და მისთვის მაკრინე ქურდიანი წარუდგენიათ, რომელსაც ქართულის ცოდნა დედისგან მოსდგამდა.

მაკრინეს დედა, მაინე, ძველი ქართული ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე ყოფილა და რუსთაველი, ჩახრუხაძე, სულხან-საბა ორბელიანი, გურამიშვილი და სხვა ქართველი მწერლები კარგად სცოდნია. ნიშანდობლივი და საგულისხმოა ისიც, რომ იგი არაჩვეულებრივი მოზარე ყოფილა. შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ ილია ჭავჭავაძის დასატირებლად 5 სვან მამაკაცთან ერთად თბილისში მაინეც გაუგზავნიათ. პოეტის ცხედართან თურმე საოცრად ჟღერდა სვანური ზარი.

ამერიკელებს მაკრინეს წაყვანა მოუსურვებიათ თავიანთ ქვეყანაში ერთი წლით, იქნებ ქართული ენა შეგვასწავლოსო, მაგრამ მაკრინეს მტკიცე უარი განუცხადებია: **„სიკვდილიც ვერ დამაშორებს ჩემს სვანეთსო“.**

* * *

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი და საზოგადო მოღვაწე, სვანეთის განმანათლებელი **ეგნატე გაბლიანი** იყო მესტიის ეთნოგრაფიულ-ისტორიული მუზეუმის დამაარსებელი და პირველი დირექტორი, ზუგდიდი-მესტიის საავტომობილო გზისა და მესტიაში აეროპორტის მშენებლობის ერთ-ერთი ინიციატორი, საქართველოს 1921-1924 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, სვანეთის 1921 წლის ამბოხების ერთ-ერთი მეთაური. მონაწილეობდა 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების მომზადებაში. ჩეკისტებმა დააპატიმრეს 1922 და 1924-1926 წლებში. დახვრიტეს 1937 წელს.

* * *

ᲛᲗᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ისტორიაში განსაკუთრებულია **ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძის** ღვაწლი და დამსახურება. მასზე მრავალი წიგნი, ლექსი, მოთხრობა, ფილმი, სტატია თუ ნარკვევია შექმნილი.

ალიოშა ჯაფარიძემ ახალი გზები დაადგინა 15 მწვერვალზე.

1934 წელს პირველი ასვლა სამხრეთ უშბაზე საეტაპო თარიღია საბჭოთა ალპინიზმის განვითარებაში, რომლითაც დაიწყო საბჭოთა მთამსვლელობის ბრწყინვალე მიღწევათა უწყვეტი რიგი.

ალიოშა ჯაფარიძე დაუდეგარი ენერგიის პატრონი იყო. ერთი წლის განმავლობაში მის მიერ ჩატარებულ ასვლათა რიცხვი სარეკორდოა. ასე მაგალითად, 1938 წელს იგი ავიდა 17 მწვერვალზე, 1940 წელს – 22-ზე და ა.შ.

* * *

17 ᲬᲚᲘᲡ იყო **ლევან მარუაშვილი,** როდესაც პირველად მონაწილეობდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასვლაში მწვერვალ ბრუტსაბძელზე 1929 წელს.

1992 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში ქართველმა ხალხმა დაბადების 80 წლისთავი მიულოცა მხცოვან მთამსვლელსა და მეცნიერს. ერთი თვის შემდეგ, 5 დეკემბერს სამუდამოდ შეწყდა ლევან მარუაშვილის სიცოცხლე, რომელმაც მთელი ცხოვრება საქართველოს ბუნების კვლევას, მისი მშვენიერების აღწერას შეალია და 500-ზე მეტი ნაშრომით მდიდარი მემკვიდრეობა დაუტოვა შთამომავლობას.

* * *

**ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲒᲕᲐᲚᲘᲐᲡᲗᲕᲘᲡ** მთამსვლელობა და სამთო-სათხილამურო სპორტი სტიქია იყო.

სულ კავკასიონის 18 მწვერვალიდან დაეშვა იგი თხილამურებით, რაც საქართველოში დღესაც განსაკუთრებულ მოვლენად არის მიჩნეული.

1948 წელს სანდრო გვალიას ხელმძღვანელობით იმ დროისათვის ფანტასტიკური ლაშქრობა შედგა მყინვარწვერზე, რომელიც ქართული და საბჭოთა ალპინიზმის 25 წლისთავს მიეძღვნა. მან მწვერვალზე 502 კაცი აიყვანა, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებთან ერთად იყვნენ მთამსვლელობის ფუძემდებლები: ალექსანდრა ჯაფარიძე, მარო ტყავაძე, მარო ბეჟანიშვილი, სოსო ასლანიშვილი, ვანო კუკავაძე და ერეკლე ლუკაშვილი.

* * *

**ᲑᲔᲥᲜᲣ ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘ** – მის ანგარიშზეა ასზე მეტი ასვლა პამირისა და კავკასიონის მწვერვალებზე.

იალბუზის დასავლეთი მწვერვალიდან ჩამოხსნა (1943 წ.) გერმანელ ფაშისტთა მიერ აღმართული ნაცისტური დროშა.

იალბუზიდან სვასტიკიანი დროშის ჩამოხსნა და საბჭოთა დროშების აღმართვა მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ რაიხსტაგისა არ იყოს, უქართველებოდ არც ამ საქმემ ჩაიარა.

ბექნუ ხერგიანი და მისი მეგობრები ამ ისტორიულ მოვლენას ასე იგონებდნენ: **„1943 წლის დასაწყისში, როცა კავკასიონიდან ფაშისტები განდევნეს, მე და ჩემი ძმა გაბრიელი მესტიიდან სოფელ ბეჩოში გვიხმეს. იქ გვითხრეს, რომ ფაშისტებმა იალბუზზე თავიანთი დროშები დატოვეს, უნდა ავიდეთ და მოვხსნათო... ექვსი კაცი შევიკრიბეთ: ნიკოლაი გუსაკი, იური სმირნოვი, ევგენი ბელეცკი, ალექსანდრე სიდორენკო, მე და ჩემი ძმა გაბრიელი. როცა უნაგირაზე ავედით, ქვებს შორის გერმანელი ოფიცრის საფლავი ვნახეთ... იქ დაგვხვდა ბამბუკის ჯოხი, რომელზეც კაბელი მიემაგრებინათ. აქ ფაშისტების დროშა ვერ ვნახეთ, სამაგიეროდ ჩვენი დროშა დავტოვეთ და ძებნა დავიწყეთ“. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲘᲓᲝᲠᲔᲜᲙᲝ:** „ამ დროს მოულოდნელად ბექნუმ უკან მოიხედა. ღრუბელი ოდნავ გახლეჩილიყო და ბექნუს მახვილმა თვალმა წამით დალანდა რაღაც ორი წერტილი. „მწვერვალი იქაა, ფაშისტთა დროშებიც იქ არის“, – თქვა ჩემმა მეგობარმა“.

ბექნუ ხერგიანი: **„მე და საშა მწვერვალისკენ წავედით, გაბრიელი კი დარჩა. მწვერვალზე ორი დროშა ვნახეთ, ერთი ქარისგან იყო დახეული, მეორე – მთელი. ავიღეთ ორივე და დავეშვით. საღამოს „თერთმეტთა თავშესაფარში“ უვნებლად დავბრუნდით. ორივე ჯგუფის მონაწილენი დიდი სიხარულით შეგვხვდნენ, განსაკუთრებით გაიხარეს, როცა ხელში ფაშისტთა დროშები დაგვინახეს. დროშები ჩვენს ხელმძღვანელს გადავეცით“.**

ბექნუ ხერგიანი 1990 წელს გარდაიცვალა.

* * *

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ** ის პიროვნება გახლდათ, რომელმაც ძმებთან – სიმონთან და ალიოშასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქართულ ალპინიზმს და სათავე დაუდო მთამსვლელობის გმირულ ისტორიას საქართველოში.

კავკასიონის მწვერვალები ალექსანდრას ღვიძლი ძმები არიანო – ამბობდა მწერალი ლევან გოთუა, რადგან ამ მწვერვალებზე სამუდამოდ დარჩა მისი ძმების ახალგაზრდული სული, კავკასიონმა მხოლოდ ძმათა ნამუხლარზე წასული დის წინაშე მოიხარა ქედი. დამ ძმების სისხლი არ შეარჩინა უშბასა და თეთნულდს.

ჯაფარიძეთა ოჯახიდან მთამსვლელობას პირველად ალექსანდრა ეზიარა 1923 წელს.

1929 წელს, თეთნულდზე ასვლის დროს, მეგობრის გადასარჩენად შემართული, 33 წლის ასაკში დაიღუპა მთამსვლელი და გეოლოგი, ლოპოტის თეთრი მარმარილოს საბადოს აღმომჩენი – სიმონ ჯაფარიძე.. გლოვამ დაისადგურა ჯაფარიძეთა ოჯახში, მაგრამ დაუოკებელია მათი სწრაფვა მწვერვალებისაკენ. ერთი ძმა მეორემ შეცვალა. ალექსანდრას მომდევნო ძმა – ალიოშა ამოუდგა მხარში. და-ძმამ სიმონის საფლავზე ფიცი დადეს – მისი დამსხვრეული ოცნებების აღსადგენად, წლისთავზე თეთნულდი დაელაშქრათ. – **„სიმონის დაღუპვის შემდეგ, დაუძლეველი სურვილი გაგვიჩნდა, გვენახა და გამოგვეკვლია ის ადგილები, სადაც მან უკანასკნელად დაადგა ფეხი“,** – იგონებდა ალექსანდრა.

თეთნულდზე ასვლის შემდეგ და-ძმამ არაერთი მწვერვალი დალაშქრა კავკასიონზე, მაგრამ თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებული იყო ქართველების პირველი ასვლა უშბაზე 1934 წლის აგვისტოში.

...მწვერვალამდე 200-მდე მეტრი რჩებოდა, დაღლილებს ღამემ მოუხერხებელ ადგილზე რომ მოუსწრო. აქ ერთი ადამიანი თუ გაათევდა, ისინი კი ოთხნი იყვნენ. აუცილებელი გახდა 200 მეტრით ქვევით დაშვება. ენანებოდათ ტანჯვით გამოვლილი მანძილის დაკარგვა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. გადაწყდა უკან დაბრუნება. მხოლოდ ალექსანდრა არ აპირებდა წასვლას. მას გამოცდილება კარნახობდა, რომ ამ კრიტიკულ მომენტში მცირე დაბრკოლებამ შეიძლება ხელი აალებინოს განზრახვაზე მის თანამგზავრებს. ალიოშა მიუხვდა დას ჩანაფიქრს და დათანხმდა, დარჩენილიყო. თვითონ კი იაგორთან და გიოსთან ერთად 200 მეტრით დაბლა დაეშვა.

ალექსანდრა ჯაფარიძის უშბის ვერტიკალურ კედელზე ღამისთევამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მწვერვალზე წარმატებით ასვლაში.

– „თუ არა ალექსანდრას თავგანწირვა, ჩვენ, ალბათ ხელს ავიღებდით უშბის დაპყრობაზე“, – იგონებდნენ შემდეგ ასვლის მონაწილენი.

...შემოიარა საქართველო, დალაშქრა კავკასიონის მწვერვალები, მაგრამ მათ შორის გამორჩეული და დაუვიწყარი იყო დიხ-თაუ. თავის აღზრდილებთან ერთად, 55 წლის ასაკში, იგი ახალი გზით ავიდა მწვერვალზე და პირველი ქალი იყო, ვინც ამ ასაკში, ასეთი რთული მწვერვალის დალაშქვრა შეძლო.

ორივე ძმის სიკვდილს გაუძლო, სიმონის მერე უშბის ნაპრალებში ზვავმა იმსხვერპლა ალიოშაც... ალექსანდრა ჯაფარიძე 1974 წლის 27 ნოემბერს ჩუმად, უხმაუროდ განერიდა ამ წუთისოფელს. დაკრძალეს ვერის ბაღში ძმების გვერდით.

* * *

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ალპინიზმის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ღვაწლმოსილ მკურნალსა და საზოგადო მოღვაწეს **იოსებ (სოსო) ასლანიშვილს**.

1925 წელს სვანეთში გაიგზავნა ექსპედიცია ჩიყვისა და ჩიყვიანობის შესწავლის მიზნით, რომელშიც ახალგაზრდა ექიმი სოსო ასლანიშვილი მონაწილეობდა. მან სვანეთის მოსახლეობის დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა. ბეჩოს თემში სოფელ უშხვანარში იგი შეიფარა მაკრინე ქურდიანისა და გერმანე მემანიშვილის სტუმართმოყვარე ოჯახმა.

გარდა მთამსვლელობისა, სოსო ასლანიშვილმა წარუშლელი კვალი დატოვა მედიცინაში, კერძოდ – ენდოკრინოლოგიაში, როგორც ამ დარგის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა; ხელოვნებასა და მწერლობაში, როგორც წიგნების ავტორმა და ჟურნალების –„თეატრი და მუსიკა“, „ხელოვნება“, „შევარდენი“, „თანამედროვე მედიცინა“ – რედაქტორმა.

სოსო ასლანიშვილი მეგობრობდა იმდროინდელ გამოჩენილ მწერლებთან, პოეტებთან, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ცნობილ მოღვაწეებთან, განსაკუთრებული ურთიერთობა კი ცისფერყანწელებთან ჰქონდა. გადაღებულია ერთ-ერთ ადრინდელ ფილმში. იყო ქართული სუფრის გამორჩეული თამადა, მაგრამ მისი გატაცება მაინც შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ იყო. მას ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემების უნიკალური კოლექცია – თავის სიცოცხლეში 81 გამოცემას მოუყარა თავი, რომელთაგან 41 საქართველოში იყო გამოცემული.

* * *

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ალპინიზმში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შესანიშნავ მთამსვლელ **გიო ნიგურიანს.** ერთ-ერთი ურთულესი, სარკისებურად გლუვი კედლის დაძლევისას, ფეხზე გაიხადა და ისე შეძლო ფეხის მოკიდება, ჩაარჭო პალო, შიგ თოკი გაუყარა და შესაძლებელი გახდა კედელზე აცოცება. მწვერვალზე წარმატებული ასვლის შემდეგ, სვანეთის რაიონის აღმასკომმა გიო ნიგურიანს, როგორც უშბაზე ამსვლელ პირველ სვანს, ჯილდოდ გადასცა 500 მანეთი და ძვირფასი საჩუქარი.

* * *

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ალპინიზმის განვითარებაში უდიდესია ცნობილი მთამსვლელის, მეგზურისა და სახალხო პოეტის, მოხევე **იაგორ კაზალიკაშვილის** ღვაწლი და დამსახურება.

პოეტმა და სახალხო მთქმელმა იაგორ კაზალიკაშვილმა მთელი პოემა უძღვნა უშბაზე ასვლა-ჩამოსვლის ეპოპეას.

1935 წლის შემოდგომაზე, როცა უკურნებელი სენით შეპყრობილი სარეცელს მიჯაჭვული იაგორ კაზალიკაშვილი თავისავე ლექსს ფანდურზე ამღერებდა და სამუდამოდ ეთხოვებოდა მშობლიურ მთებს, მყინვარწვერზე ავიდა მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის ნაკრები და მწვერვალიდან გაისმა ზარბაზნის ზალპი, რომელმაც თითქოს ქვეყანას აუწყა მთის მგოსნის, შესანიშნავი მეგზურისა და მთამსვლელის იაგორ კაზალიკაშვილის უკვდავებაში გადასახლება.

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲨᲐᲘᲨᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

ოლიმპიადის ექო

# თამაშები ომი არ არის

**ცნობილმა რუსეთელმა ტელეჟურნალისტმა ვლადიმერ პოზნერმა, რომელიც სოჭის წლევანდელი ოლიმპიური თამაშების რეპორტაჟებს ამერიკული ტელეარხის NBS-ის მაყურებლებისთვის გადასცემდა (სოჭში ამ კომპანიის 1500 თანამშრომელი იყო ჩასული!) ამ სპორტული ფორუმის შესახებ საკუთარი მოსაზრებები გამოთქვა.**

რუსეთელი გულშემატკივრებისთვის სოჭის ოლიმპიადის ყველაზე დიდი გულდაწყვეტა შაიბიანი ჰოკეის ნაკრების წარუმატებლობასთანაა დაკავშირებული, რომლის გამარჯვებაზე ყველანი დიდ იმედებს ამყარებდნენ. ნაკრების კაპიტანმა **პავლე დაციუკმა** რუსეთის პირველი ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ **„ჰოკეი შეიცვალა, მეკარეები ძალიან დიდები გახდნენ“**. ამასთან დაკავშირებით ვლადიმერ პოზნერი ამბობს, რომ ეს არგუმენტი მხოლოდ იუმორით შეიძლება აღვიქვათ:



— დაციუკი დიდი ჰოკეისტია და, რაღა თქმა უნდა, კარგად ესმის, რომ მეკარეების გაბარიტებს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. იმავე ამერიკელებმა ჩეხეთს 5:2, ხოლო სლოვაკეთს 7:1 სძლიეს, შვედებმა ყველანი დიდი ანგარიშით დაამარცხეს, იქ კი ყველგან „დიდი მეკარეები“ არიან, — ამბობს ტელეწამყვანი. — რუსეთის ნაკრების მეკარეებიც კაი ზორბა ბიჭები არიან, რომლებიც იმავე ფინეთის მეკარე რასკს არ ჩამოუვარდებიან. მაგრამ, რატომღაც რუსეთელ მეკარეებს შაიბებს უტანენ, უცხოელებს კი ვერა. ამდენად, როგორც ჩანს, საქმე სხვა რამეშია. მთავარი პრობლემა ისაა, რომ რუსეთს გუნდი არ ჰყავდა. ეს იმის გამო მოხდა, რომ მოთამაშეები ძალიან გვიან შეკრიბეს, მათ შეთამაშება ვერ მოასწრეს. განა რაში იყო უწინ ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების ხიბლი? ის, რომ მათ თავის ნებაზე წასვლა არსად არ შეეძლოთ და გინდა-არ გინდა ნაკრების შეკრებებზე უნდა გამოცხადებულიყვნენ. ისინი ერთად იმდენს თამაშობდნენ, რამდენიც საჭირო იყო. შიდა ჩემპიონატის თამაშების გადატანა თუ იყო საჭირო, ისინი გადაჰქონდათ კიდეც. ამ გზით იმას აღწევდნენ, რომ მოთამაშეებს ერთმანეთთან თვალებდახუჭულებსაც კი შეეძლოთ მოედანზე ურთიერთობა. თითოეულმა ზუსტად იცოდა, თუ რომელ დროს სად უნდა მიეცა გადაცემა, სად იქნებოდა გარკვეულ ეპიზოდში ესა თუ ის პარტნიორი, ვინ ვის აზღვევდა და ა. შ.

ბუნებრივია, იმის გაკეთება, რაც საბჭოთა კავშირის დროს კეთდებოდა, დღესდღეობით მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ შეიძლება. მაგრამ სხვა მხრივ, აბა, სად არიან ახლა რუსეთელი ჰოკეისტები? რუსეთის ჰოკეის ლიგაში მოთამაშე გუნდების შემადგენლობას თუ დავაკვირდებით, ამჯერად იქ რუსეთელზე მეტი უცხოელი თამაშობს. გარდა ამისა, ვფიქრობ, რუსეთის ნაკრებში საჭიროზე მეტი ლეგიონერია. მადლობა ღმერთს, ახლა ამაზე გარკვეული ლიმიტია დაწესებული. ჩემი ნება რომ იყოს, რამდენიმე წლით საერთოდ ავკრძალავდი რუსეთულ გუნდებში უცხოელთა მიწვევას, რათა საკუთარი ჰოკეისტების აღზრდის შესაძლებლობა გვქონდეს. მაშინ შეგვეძლებოდა, ვთქვათ, ერთი ხუთეული ჩრდილოამერიკულ ჰოკეის ეროვნულ ასოციაციაში მოთამაშე სპორტსმენებით დაგვეკომპლექტებინა, დანარჩენი ორი ხუთეული კი — ისევ რუსეთში მოთამაშეებით. მიმაჩნია, რომ ამაზე დაფიქრება ღირს.

კიდევ ერთი თემა, რომელსაც ვლადიმერ პოზნერი შეეხო, მოციგურავე **ევგენი პლიუშჩენკოს** საკითხი იყო. საქმე ისაა, რომ რუსეთში მის მიმართ დამოკიდებულება აშკარად არაერთგვაროვანია: ზოგის აზრით, იგი საკუთარი ძალების შეფასებაში აშკარად ზედმეტად ოპტიმისტი იყო, თუმცა კი ამავე დროს ხაზს უსვამენ იმას, რომ თუ არა პლიუშჩენკო, რუსეთი ფიგურული სრიალის გუნდურ ჩათვლაში ოქროს მედლებს ვერ მოიპოვებდა. სხვები კი დარწმუნებულნი არიან, რომ ზურგში დიდი ტკივილების მიუხედავად, მას „თავი უნდა გაეწირა“ და ბოლომდე ებრძოლა გამარჯვების მოსაპოვებლად.

— კატეგორიულად არ ვეთანხმები იმათ, ვინც პლიუშჩენკოს ბრალს სდებს იმაში, რომ მან ბოლომდე არ იბრძოლა და თავი უნდა გაეწირა, — ამბობს ვლადიმერ პოზნერი. — **არ მიმაჩნია, რომ სპორტული მიღწევა გმირობას უნდა უტოლდებოდეს.** გმირობა, ცოტა არ იყოს, სხვა რამ არის, ხოლო თუ რომელიმე ეროვნულმა გუნდმა მედლები ვერ მოიგო, ეს რა, იმას ნიშნავს, რომ სპორტსმენებმა თავისი ქვეყნის ღირსება არ დაიცვეს? ანდა შეარცხვინეს იგი? ცხადია, არა, ყველაფერი ეს სისულელეა, რადგან **სპორტული შეჯიბრება ომი ხომ არ არის!** პლიუშჩენკო დიდი სპორტსმენია და რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა გამარჯვების მოსაპოვებლად, ამიტომ მას არც გმირს, არც მით უმეტეს, ანტიგმირს არ დავარქმევდი.

რაც შეეხება სოჭის ოლიმპიადისგან მიღებულ ზოგად შთაბეჭდილებებს, ისინი, უმეტესად, მე ვიტყოდი, „არასპორტული“ კატეგორიისაა. ეს ეხება, პირველ ყოვლისა აქაურ ახალშენებს. აქ გასაოცარი გზები გაიყვანეს, მთებში სასწაული კურორტი, უამრავი სპორტული ცენტრი ააგეს, რომელთაგან განსაკუთრებით „როზა ხუტორი“ მინდა გამოვყო. იმავეს თქმა შემიძლია ადლერში დიდებულ ახალ სპორტულ ნაგებობებსა და საცხოვრებელ სახლებზე.

**ნინო ალექსანდრია**

ჩოგბურთი

## ნოვაკ ჯოკოვიჩი: ძნელი სავარაუდოა, სეზონის მიწურულს ვინ იქნება რეიტინგის ლიდერი

**პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელები ამ დღეებში ინდიან უელსის „მასტერზ 1000“-ის გათამაშებაში ჩაებმებიან. მათ შორის სადღეისოდ რეიტინგსიის მეორე ნომერი ნოვაკ ჯოკოვიჩიც იქნება. ბალკანელს აშშ-ის კალიფორნიის შტატის შეჯიბრება 2008 და 2011 წლებში აქვს მოგებული (2007-ში ფინალში ითამაშა) და წლევანდელი ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტადაც ითვლება.**

**- მალე ინდიან უელსის „მასტერზ 1000“-ის მორიგ გათამაშებაში ჩაებმებით. თქვენი აზრით, რომელი ჩოგბურთელები უნდა მივიჩნიოთ „ზამთრის უიმბლდონად“ წოდებული შეჯიბრების ფავორიტად?**

— რაც სტანისლას ვავრინკამ ავსტრალიის ღია პირველობაზე მოახდინა, ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ტოპოთხეულს მიღმა მყოფ მოთამაშეებსაც შეუძლიათ ნებისმიერი ტურნირის მოგება. ეს მთლიანობაში ჩოგბურთისთვის მეტად კარგია. როჯერ ფედერერმა დუბაიში ბრწყინვალედ ითამაშა. შვეიცარიელი ჩოგბურთის ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ისე ითამაშა, თითქოს გაცილებით ახალგაზრდა ყოფილიყო. ინდიან უელსის ფავორიტთა შორის, რა თქმა უნდა, ტურნირის მოქმედი ჩემპიონი რაფა ნადალიც იქნება. სიურპრიზებს უნდა ველოდოთ გრიგორ დიმიტროვის, მილოშ რაონიჩისა და ეჟი იანოვიჩისგან. მამაკაცთა ჩოგბურთში მეტად საინტერესო პერიოდი დადგა. სეზონი ახლახან დაიწყო და ძნელი სავარაუდოა, მის მიწურულს ვინ იქნება კლასიფიკაციის ლიდერი. გულშემატკივარს წინ უამრავი საინტერესო ორთაბრძოლა ელის.



**— ინდიან უელსის ტურნირის შემდეგ მცირე ინტერვალით მაიამის შეჯიბრება დაიწყება. მიჯრით ორ ამგვარ პრესტიჟულ ასპარეზობაში გამოსასვლელად ფიზიკურად მზად ხართ?**

— ზედიზედ ორ „მასტერზ 1000“-ზე პაექრობა ორგანიზმისთვის მომქანცველია, თუმცა, ვფიქრობ, 4-5 დღის ინტერვალის განმავლობაში ძალის მოკრებას მოვახერხებ. ვიმედოვნებ, ორივე ტურნირისთვის სათანადოდ მომზადებული ვიქნები. ამასთან, დიდი სლემის შეჯიბრებებისგან განსხვავებით ინდიან უელსსა და მაიამიში მატჩში გამარჯვებისთვის 2 სეტის მოგებაა საკმარისი.

**— ბორის ბეკერთან მუშაობისას აქცენტს რომელი საჩოგბურთო ელემენტების დახვეწაზე აკეთებთ?**

— ამ კითხვას მუდმივად მისვამენ. ჩემი აზრით, ქომაგები ელიან, რომ ბეკერთან თანამშრომლობის შემდეგ მარცხენა ხელით დავიწყებ თამაშს. ასე არაა. ჩემ გამოსვლაში ძირეული ცვლილებები მოსალოდნელი არაა. არასდროს გავხდები serve-and-volley-ის მოთამაშე. უწინაც არაერთხელ მითქვამს — მე და ბეკერს ერთმანეთის უკეთ გასაცნობად გარკვეული დრო კიდევ გვჭირდება და თანამშრომლობისგან სასარგებლო, ნაყოფიერი პერიოდიც მხოლოდ ამის შემდეგ დადგება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ძალოსნობა

## ბებერი ხარისა...



**საქართველოს ძალოსნობის ფედერაციას დროებით 87 წლის შოთა ბუაძე უხელმძღვანელებს. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართულ რიგგარეშე ყრილობაზე ფედერაციის ყველაზე ხანდაზმული წევრის კანდიდატურას მხარი ხმის უფლების მქონე დელეგატთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა.**

რიგგარეშე ყრილობის მოწვევის აუცილებლობა ფედერაციის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის, ბიზნესმენისა და პარლამენტარის დავით ბეჟუაშვილის თანამდებობიდან გადადგომის გამო გაჩნდა.

თაობა



„ბასა –1“

## „მშვიდობის თასის“ რჩეულნი

**შარშან საქართველოს უნივერსიტეტის სპორტული სკოლის (მენეჯერი გივი ნეფარიძე) თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა „მშვიდობის თასის“ გათამაშებას ბავშვთა შორის.**

წლეულს ორგანიზატორებს მხარში ამოუდგა თბილისის ფეხბურთის ფედერაცია, მათი ერთობლივი ძალისხმევის შედეგად კი ტურნირი სამ ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა.

უკრაინაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ერთკვირიანი საინტერესო ღონისძიების



„მთვარის გლობუსი“

სპონსორობა სპორტულმა ცენტრმა „სალერმა“ (კომერციული დირექტორი პავლე ზედგინიძე) ითავა და სოლიდური პრიზებითაც დააჯილდოვა გამორჩეული მონაწილენი.

რაც შეეხება გამარჯვებულებს, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით „მშვიდობის თასის“ მფლობელნი გახდნენ:

**2004 წელს დაბადებულნი:** „ბასა-1“ (მწვრთნელები გელა ბანცური, გიორგი პაპინაშვილი).



„ჩემპიონი“

**2003 წელს დაბადებულნი:** „მთვარის გლობუსი“ (მწვრთნელი იგორ კოროტკოვი).

**2002 წელს დაბადებულნი:** „ჩემპიონი“ (გია მაჭარაშვილი, გია ჩარკვიანი).

დავძენთ, რომ განსაკუთრებულ მადლიერებას იმსახურებს დედაქალაქის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი მამუკა ელიკაშვილი.

**გიორგი შოთაძე**

## სიღარიბის ფასი

# 1000 დაღუპული ბავშვი წელიწადში

**საქართველოში ბოლო ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა, თუმცა, გაეროს ბავშვთა ფონდის ინფორმაციით, სიღარიბე მაინც გადაულახავ პრობლემად რჩება საქართველოსთვის, სადაც სიღარიბის ზღვარს მიღმა ბავშვთა 27 პროცენტი ცხოვრობს. საქართველოში ასევე მაღალია დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, რომლითაც საქართველო მესამე ადგილზეა ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. ასევე მაღალია იმ ბავშვთა რაოდენობა, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ სკოლამდელ განათლებაზე. როგორია ბავშვთა ყოფა საქართველოში და რას აკეთებს მთავრობა მის გასაუმჯობესებლად?**

საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ბავშვების რაოდენობა 2011 წლიდან 2013 წლამდე 25 პროცენტიდან 27 პროცენტამდე გაიზარდა. გაეროს ბავშვთა ფონდის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელის **მაია ქურციკიძის** თქმით, მართალია, უკიდურესი სიღარიბე შედარებით შემცირდა, მაგრამ ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი კვლავ აღემატება დანარჩენი მოსახლეობის სიღარიბის დონეს.

**„ეს იმას ნიშნავს, რომ ის დანახარჯები, რომლებიც ღარიბი მოსახლეობისთვის იყო გამიზნული, ძირითადად მიმართული იყო სხვა ჯგუფებისკენ და არა ბავშვებისკენ. შესაბამისად, ბავშვები კვლავ რჩებიან ყველაზე ღარიბ ჯგუფად. სწორედ ამიტომ იუნისეფი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, — ჩვენ მათთან ერთად ვმუშაობთ, რომ სპეციალური შეღავათები იყოს შემოღებული ბავშვებთან დაკავშირებით“,** უთხრა მაია ქურციკიძემ რადიო „თავისუფლებას“.

**მაია ქურციკიძის თქმით, საქართველოში სოციალური დახმარების სისტემა საკმარისად არ ითვალისწინებს ბავშვების ინტერესებს. მოქმედი სისტემის ხარვეზებზე მეტყველებს დედათა და ხუთ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი:**

**„5 წლამდე ასაკის 1000 ბავშვი იღუპება წელიწადში. აქედან 300 იღუპება კვების დეფიციტის გამო. არადა, არსებობს დაბალბიუჯეტიანი გადაწყვეტები, რომელსაც შეუძლია, შეამციროს ბავშვთა სიკვდილიანობა და გააუმჯობესოს მდგომარეობა“.**

მაია ქურციკიძის თქმით, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაეროს ბავშვთა ფონდი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების მინისტრის მოადგილის **მარიამ ჯაშის** თქმით, ვითარებას მნიშვნელოვნად შეცვლის სამთავრობო პროგრამა, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი მიკროელემენტების დეფიციტის აღმოფხვრაა:

**„ჩვენ უკვე ვაწარმოებთ კონსულტაციებს, რომ მოხდეს ფოლიუმის მჟავითა და რკინის მიკროელემენტებით პურის ფქვილის გამდიდრება სავალდებულო წესით, საკანონმდებლო დონეზე. საერთაშორისო გამოცდილებით, ეს არის ყველაზე ეფექტიანი ჩარევა. ასევე ერთ-ერთ საკითხად გამოიკვეთა დედათა და ბავშვთა სამსახურების, სამშობიარო სახლებისა და პედიატრიული სამსახურების ე.წ. რეგიონალიზაციის გეგმა, რომელიც იქნება აღნიშნული სამსახურების ხარისხის გაუმჯობესების გარანტი“.**

მარიამ ჯაშის თქმით, ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ, **მიუხედავად წარმატებული დეინსტიტუციონალიზაციისა, დიდი ზომის ბავშვთა სახლებში მაინც რჩება 100-ზე მეტი ბავშვი. იუნისეფის მონაცემებით, ასევე საგანგაშო მდგომარეობაა ბავშვთა განათლების კუთხით: 15 წლის ბავშვთა 2/3-ს არა აქვს კითხვის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სათანადო ცოდნა და უნარი, რაც ყველაზე უარესი შედეგია ევროპაში. გარდა ამისა, ბავშვთა 50 პროცენტს და ღარიბთა 70 პროცენტს არ მიუწვდება ხელი სკოლამდელ განათლებაზე,** რაც საქართველოს განათლების მინისტრის თამარ სანიკიძის თქმით, მნიშვნელოვან



გავლენას ახდენს აკადემიური მოსწრების დონეზე.

**„პრობლემაა არასწორი სკოლამდელი განათლება და ამ მიმართულებით არგადადგმული ნაბიჯები. ყურადღება უნდა მიექცეს სკოლებში განათლების ხარისხის ამაღლებასაც. ეს არის ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილი, რომლის რევიზია ახლა მიმდინარეობს იმისათვის, რომ საფუძვლიანად მოხდეს ყველა საგნის შესწავლა სკოლაში“,** უთხრა **თამარ სანიკიძემ** რადიო „თავისუფლებას“.

იუნისეფის ანგარიშის მიხედვით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მდგომარეობა. რა არის ამის მიზეზი? რადიო„თავისუფლების“ ამ შეკითხვის პასუხად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა **სოზარ სუბარმა** განაცხადა, რომ განახევრდა ციხეეში მყოფი ბავშვების რაოდენობა:

**„ადრე თუ იყო ყოველთვის 100-ზე მეტი, - 220-იც კი ყოფილა, — ამ წუთში არის 45, მაგრამ მთელი შარშანდელი წლის განმავლობაში 38-დან 60 ბავშვამდე მერყეობდა. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ ძალიან დაბალი სასჯელები გამოიყენება ბავშვების მიმართ. მახსოვს, ადრე 4 წელი მიუსაჯეს 14 წლის ბავშვს იმის გამო, რომ მეზობელს ხიდან მოჰპარა 15 ლარის კაკალი. დღეს ხშირად გამოიყენება პირობითი სასჯელი, განრიდება და სხვა არასაპატიმრო სასჯელები“.**

სოზარ სუბარის თქმით, იუნისეფის დახმარებით, პენიტენციურ სისტემაში მოხვედრილი ყველა ბავშვისათვის ინდივიდუალურად იგეგმება სასჯელი. გარდა ამისა, აშენდა სკოლის ახალი შენობა და პირველად განცალკევდა ერთმანეთისგან სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსები. საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმულ ამ და სხვა ნაბიჯებს მაღალი შეფასება მისცა გაეროს ბავშვთა ფონდის რეგიონალურმა დირექტორმა **მარი-პიერ პუარიემ,** რომელსაც ნაყოფიერი შეხვედრები ჰქონდა საქართველოს მთავრობის წევრებთან:

**„მინისტრებმა ნათლად წარმოაჩინეს მზადყოფნა, მიჰყვნენ რეკომენდაციებს, რათა შემცირდეს ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობა, გაუმჯობესდეს მართლმსაჯულების სისტემა, რომლის დროსაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ბავშვების ინტერესი ნებისმიერ ეტაპზე კანონთან შეხებისას. მთავრობის სურვილია განმტკიცება იმ წარმატებებისა, რომელიც მიღწეულია ბავშვთა ზრუნვის სფეროში გატარებული რეფორმების შედეგად, ოჯახების ხელშეწყობა, იზრუნონ საკუთარ შვილებზე. გარდა ამისა, აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე ზრუნვა მოექცეს ეროვნული გეგმის ცენტრში“.**

საქართველოს სახალხო დამცველი კი მიიჩნევს, რომ ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელია მხოლოდ ცალკეული ინსტიტუციების ძალისხმევით. **უჩა ნანუაშვილის** თქმით, მთავრობამ უნდა შეიმუშაოს მოქმედების ერთიანი გეგმა, რომლის განხორციელებაშიც ჩართული იქნება ყველა სახელმწიფო უწყება.

**ჯიმშერ რეხვიაშვილი,**
**რადიო „თავისუფლება“**

## ალიან-ჩალიანი

### ქობულეთში 24 ათასი აბონენტი გამრიცხველიანდა

**„ენერგო-პრო ჯორჯიამ“ ქობულეთის რაიონის ინდივიდუალური გამრიცხველიანება დაასრულა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომპანიიდან აცნობეს, წარმატებით გამრიცხველიანდა მთლიანად 25 სოფელი, დაბა ჩაქვი და ოჩხამური, აგრეთვე ქალაქი ქობულეთი. საერთო ჯამში 24 000-მდე აბონენტი. ევროპული სტანდარტების შესაბამისი ინდივიდუალური მრიცხველების მეშვეობით, აბონენტები ადვილად გააკონტროლებენ საკუთარ ენერგომოხმარებას. ქობულეთის რაიონში ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროექტის განხორციელების მიზნით, სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ 5 959 750 ლარის ინვესტიცია განახორციელა.**



**ბოლო სოფელი, რომელიც ქობულეთის რაიონში გამრიცხველიანდა, არის სოფელი ხალა, სადაც ბოლო მრიცხველის დამონტაჟებას „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ხელმძღვანელობა და აჭარის მთავრობის მეთაური არჩილ ხაბაძე დაესწრნენ.**

**„ქობულეთის რაიონი არის ერთ-ერთი პირველი რაიონი, სადაც „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ მთლიანად დაასრულა აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანება. ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროექტი ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტულია, რადგან ის იძლევა ინდივიდუალური აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ზუსტი აღრიცხვის საშუალებას, რაც აბონენტისთვის მეტად მნიშვნელოვანია, — განაცხადა „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ რეგიონალური ფილიალის დირექტორმა ირაკლი ვახტანგიძემ.**

**ინდივიდუალური გამრიცხველიანების პარალელურად „ენერგო-პრო ჯორჯიამ„ განახორციელა ელექტროქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც, რომელთა ფარგლებშიც შეიცვალა ამორტიზირებული სადენები და ბოძები, ახალი იზოლირებული კაბელებით და რკინა-ბეტონის დგარებით.**

**„ენერგო-პრო ჯორჯიას“ განცხადებით 2015 წლისთვის გამრიცხველიანებული იქნება მთელი საქართველო.**

### მკვლელობა ზესტაფონში

**ზესტაფონში, 35 წლის მამაკაცი ურთიერთშელაპარაკების დროს მოკლეს. როგორც მოკლულის მეზობლებმა განაცხადეს, 35 წლის მამაკაცს მკვლელმა თავში ლოდი ჩაარტყა.**

**მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.**

**ინტერპრესი**

**თემურ, თენგიზ ონიანები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქვეყნისა და თავისი კუთხის მოჭირნახული, შესანიშნავი პიროვნება**

**როლანდ ჩხეტიანი**

**მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა.**

## განცხადება

2014 წლის 28 აპრილს 12 საათზე შპს „SMILE MIX“-ის ოფისში (მისამართი ქ. თბილისი, ჭირნახულის ქ. №4-6) ლაქსაღებავების საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, ქ. თბილისში ჭირნახულის ქ. №4-6-ში არსებულ შენობა-ნაგებობებში ლაქსაღებავების საწარმოს მოწყობა და ექსპლოატაცია.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

შპს „SMILE MIX“-ის ოფისში – ქ. თბილისი, ჭირნახულის ქ. №4-6;

შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა.

ტელ: 2 60 15 27

საზოგადოებისგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა საჯარო განხილვის თაობაზე განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის განმავლობაში.

შპს „SMILE MIX“-ის ადმინისტრაცია

## სიახლე

# სანომრე ნიშნები ევროსტანდარტების დიზაინით

**რუსთავში, შსს-ს მომსახურების სააგენტოში ახალი დიზაინის სანომრე ნიშნების პრეზენტაცია გაიმართა. შსს მომსახურების სააგენტო, 2014 წლის შემოდგომიდან, სატრანსპორტო საშუალებებზე ევროსტანდარტების მიხედვით სანომრე ნიშნების ფორმისა და დიზაინის შეცვლას გეგმავს.**

სხვადასხვა ტიპის სანომრე ნიშნების არსებული ფასი ახალ სანომრე ნიშნებზეც გავრცელდება. შსს-ს მომსახურების სააგენტო მათ, ვისაც ფასიანი სანომრე ნიშნები აქვს აღებული, ძველი სანომრე ნიშნის იგივე ფასიან ახალ სანომრე ნიშანში გადაცვლას დამატებითი გადასახადების გარეშე სთავაზობს.

სააგენტოს ხელმძღვანელის განცხადებით, არსებული სანომრე ნიშნები იცვლება ახალი დიზაინის სანომრე ნიშნებით, თუმცა, ეს ნებაყოფლობითია და მომხმარებელს შეუძლია, არსებული სანომრე ნიშნებით 2030 წლამდე ისარგებლოს და ახლით არ შეცვალოს.

რაც შეეხება დიზაინს, ახალი სანომრე ნიშნის მარცხენა ზედა კუთხეში იქნება საქართველოს სახელმწიფო დროშა, ხოლო მარჯვენა ქვედა კუთხეში ქვეყნის საიდენტიფიკაციო კოდი (ჯე). შეიცვლება ციფრებისა და ლათინური სიმბოლოების წყობაც: მარჯვნივ და მარცხნივ განთავსებულ წყვილ ლათინურ სიმბოლოებს შორის იქნება განლაგებული სამი ციფრი. სანომრე ნიშნის დაცულობის მიზნით, ახალ სანომრე ნიშნებს ექნება ფალსიფიცირების საწინააღმდეგო ჰოლოგრამა - სახელმწიფო გერბის გამოსახულებით. ასევე გამოყენებული იქნება ევროსტანდარტების შესაბამისი სხვა დამცავი მექანიზმები.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, საქართველოს ავტოპარკის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და იაპონიიდან იმპორტირებული ავტომობილებისთვის მომხმარებელს საშუალება ექნება, აიღოს და ავტომობილზე განათავსოს შესაბამისი ზომის კვადრატული სანომრე ნიშნები.

ცვლილებები შეეხებათ მისაბმელ სატრანსპორტო საშუალებებსაც. მომსახურების სააგენტო განახლებული დიზაინის სანომრე ნიშნების დამზადება-შესყიდვის მიზნით საერთაშორისო ტენდერს გამოაცხადებს. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც ქართულ, ისე უცხოურ კომპანიებს. სატენდერო პირობები ქართულ და ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდება.

**ინტერპრესი**



## დაიჯესტი

### პაპის პერსონალური სუნამო

**რომის პაპმა ბენედიქტე XVI პერსონალური სუნამო შეუკვეთა, რომლის შექმნაზე პარფიუმერი სილვანა კაზოლი მუშაობს. მან ადრე სუნამოები ისეთ ცნობილი კლიენტებისთვის შექმნა, როგორებიც არიან მომღერლები მადონა და სტინგი, ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი, სხვები.**

„პაპის“ სუნამოს შემადგენლობის გამხელაზე სილვანა კაზოლიმ უარი განაცხადა, თუმცა კი აღნიშნა, რომ მასში ლაიმის ხის, ვერბენასა და „ერთი ბალახის“ არომატები იქნება შერეული. მისი თქმით, ასეთი არომატის შექმნა მას ბუნებისადმი



პაპის სიყვარულმა უკარნახა. სინიორა კაზოლი ასევე ამბობს, რომ არ აპირებს ამ სუნამოს ტირაჟირებას, ამდენად პაპი ჭეშმარიტად უნიკალური პარფიუმის პატრონი იქნება.

უწინ სილვანა კაზოლის უკვე მოუწია ეკლესიის წარმომადგენლებისთვის სუნამოების შექმნა. მაგალითად, 2010 წელს მან მორწმუნეებისგან, რომლებიც რომიდან ესპანურ ტაძარ სანტიაგო-დეკომპოსტელაში მოსალოცად მიემგზავრებოდნენ, სუნამოს დამზადების შეკვეთა მიიღო. ორი არომატი — „რწმენის წყალი“ და „იმედის წყალი“ მღვდელმსახურებს ისე მოეწონათ, რომ თავიანთი შთაბეჭდილება პონტიფიკოსს გაუზიარეს.

რომის პაპი ბენედიქტე XVI ცნობილია საკუთარი გარდერობისადამი დიდი მოთხოვნით. კერძოდ, იგი დაკვეთილ სამოსელსა და წითელი ტყავის ფეხსაცმელს ატარებს. უნიკალური ნივთებისადმი თავისი სიყვარულის გამო პაპს ხშირად აკრიტიკებენ, თუმცა კი, ვატიკანის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ იგი ასე იმიტომ კი არ იცვამს, რომ „მოდურად“ გამოიყურებოდეს, არამედ პაპის ტახტის ტრადიციებს პატივს მიაგებს.

### ეს სახიფათო ჟურნალისტიკა

**საერთაშორისო ორგანიზაციის „ჟურნალისტები საზღვრებს გარეშეს“ მონაცემებით, შარშან წლის განმავლობაში მსოფლიოში ჟურნალისტების გატაცების შემთხვევათა რიცხვმა ორჯერ იმატა.**

საერთაშორისო გამოკვლევაში ნათქვამია, რომ 2013 წელს სხვადასხვა ქვეყანაში 71 პროფესიონალი და 39 სამოქალაქო ჟურნალისტი და ბლოგერი მოკლეს. ეს ოდნავ ნათლებია, ვიდრე წინა წელს — შესაბამისად, 88 და 47 კაცი, მაგრამ ვითარების გამოკეთებაზე ლაპარაკი ჯერჯერობით არამართებული იქნება.

— მთლიანობაში, ჟურნალისტთა მუშაობა მთელ მსოფლიოში უსაფრთხო არაფრით არ გამხდარა, — განაცხადა ორგანიზაციის წარმომადგენელმა ასტრიდ ფროლოფმა.



ჟურნალისტებისთვის სამუშაოდ ყველაზე სახიფათო ქვეყნად კვლავაც **სირია** რჩება, სადაც 2013 წელს ათი პროფესიონალი და 35 სამოქალაქო ჟურნალისტი დაიღუპა. მას მედიის წარმომადგენელთათვის სამუშაოდ ყველაზე სახიფათო ქვეყნების ხუთეულში ასევე შედიან **ინდოეთი, პაკისტანი, ფილიპინები და სომალი.** ამჟამად, თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულების გამო პატიმრობაში 178 ჟურნალისტი იმყოფება, რომელიც **ჩინეთის, ერითრეის, თურქეთის, ირანისა და სირიის** ციხეებში იტანჯება.

### კერკეტი კაკლები

**ამერიკელ ონკოლოგთა გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ კაკლის ნებისმიერი ნაირსახეობის — ნიგვზის, თხილის, კედრის და სხვ., საკვებად ყოველდღიურ მიღებას სხვადასხვა დაავადებისგან სიკვდილის საფრთხის 20 პროცენტით შემცირება შეუძლია.**

ყველაზე მეტად ნებისმიერი სახეობის კაკლების საკვებად მიღება გულის დაავადებებისგან სიკვდილიანობას ამცირებს (29 პროცენტით), ასევე მნიშვნელოვნად ამცირებს კიბოს მიზეზით სიკვდილიანობას (11 პროცენტით).

სპეციალისტებმა 76 ათასი ქალისა და 42 ათასი მამაკაცის დიეტა და ჯანმრთელობის მდგომარეობა გააანალიზეს და აღმოჩნდა, რომ მათ შორის ვინც ნიგოზს ან თხილეულს კვირაზე მეტი განსხვავებული დროის პერიოდულობით ჭამდა, სიკვდილიანობის რისკი 7 პროცენტით იკლებდა, ვინც კვირაში ერთხელ — 11 პროცენტით, კვირაში 2-4-ჯერ — 13 პროცენტით, კვირაში 5-6-ჯერ — 15 პროცენტით, კვირაში 7-ჯერ და მეტჯერ — 20 პროცენტით.



### ცუდი სიზმრები

**სიზმრების სწორ ახსნას ამა თუ იმ დაავადების არსებობის დადგენაში კარგი დიაგნოსტიკური დახმარების გაწევა შეუძლია, მიაჩნიათ ბრიტანელ მედიკოსებს.**

**ხშირი კოშმარები ადამიანებს აწუხებთ შაკიკების, გულის სისხლძარღვთა პათოლოგიების დროს, რაც თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევებს უკავშირდება.**



სწრაფად ცვლადი სიზმრები კი საძინებელში ზედმეტად მაღალი ანდა, პირიქით, დაბალი ტემპერატურითაა გამოწვეული. გარდა ამისა, სიზმრების სიხშირე, შესაძლოა, ანტიდეპრესანტების მიღებაზე, ანდა ზურგსა და სახსრებში ქრონიკული ტკივილებით იყოს გამოწვეული.

ცუდი სიზმრები, როცა, ვთქვათ, ადამიანი ვილაცას გაურბის, შეიძლება ნერვული სისტემის პათოლოგიის განვითარების ნიშანი იყოს. თუმცა ესეც კია, რომ მსგავს სიზმრებს ჩვენ გადაღლას, ანდა ძლიერი ემოციური განცდის შედეგად ვხედავთ.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

ჟურნალ–გაზეთებიდან



### „ყირიმის სცენარი, შესაძლოა, პუტინის გეგმის მხოლოდ დასაწყისი იყოს“

— აცხადებს აშშ-ის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში, ზბიგნევ ბჟეზინსკი, — უკრაინის აღმოსავლეთ რაიონებში, სადაც რუსულენოვანი უკრაინელები ცხოვრობენ და რომელთა უმეტესობაც მოსკოვისადმი კარგად არის განწყობილი, შესაძლოა, მოსკოვის ინიცირებული არეულობა დაიწყოს. მაშინ რუსული ჯარი შევა... ამის შედეგი ძალიან სერიოზული უნდა იყოს, იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენ ვინანებთ, რომ არაფერი გავაკეთეთ. ზუსტად ისევე, როგორც ვნანობთ, რომ არაფერი გავაკეთეთ 1938 წლის მიუნხენის შემდეგ და ვიცით, თუ რა მოხდა მერე“, — განაცხადა ბჟეზინსკიმ.

**„ვერსია“**

### „არ ჩაასხათ „ლუკოილის“ საწვავი, არ შეიძინოთ რუსული პროდუქცია“ — ბოიკოტი რუსულ პროდუქციას უკრაინის გამო

**არასამთავრობო** ორგანიზაცია „ევროპული მომავლისთვის“ წარმომადგენლები საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებს, უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო, ბოიკოტი გამოუცხადონ რუსულ პროდუქციას — არ ჩაასხან „ლუკოილის“ საწვავი და არ შეიძინონ რუსული წარმოების საქონელი.

ამ მოწოდების გათვალისწინებით პრობლემები შეექმნება ოპერატორ კომპანია „ბილაინსაც“. ასევე, მედიკამენტების, ხორცპროდუქტების, რძის პროდუქტების, ტკბილეულის სხვადასხვა სახის საკვებსა და ბურღულეულის მწარმოებელ რუსულ კომპანიებსაც, რომელთა ნაწარმზეც საქართველოში დიდი მოთხოვნილებაა. ვნახოთ, რამდენად გაითვალისწინებენ მოწოდებას და როგორ განვითარდება მოვლენები.

**„ალია“**

### სკანდალური ინტერვიუ

**დოკუმენტი,** რომელსაც ხელს აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი აწერს და რომელიც „ქართულ სიტყვას“ უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკმა, სამხედრო კონტრდაზვერვის ყოფილმა თანამშრომელმა, უსაფრთხოების ექსპერტმა კონსტანტინე ფორჩხიძემ გადასცა, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილისა და საერთოდ, არაერთი „ნაციონალური “ მაღალჩინოსნის, მათ შორის, გია ბარამიძის, ირაკლი ოქრუაშვილის, ვანო მერაბიშვილის, გიგა ბოკერიას და, რაღა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილის იარაღით უკანონო ვაჭრობაში მონაწილეობას ღიად ადასტურებს.

**„ქართული სიტყვა“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

— **თქვენო** ღირსებავ, დაქორწინება მინდა!
— ძალიან კარგი, ახალგაზრდავ, რამდენი წლისა ხართ?
— ოცდაორის, თქვენო ღირსებავ!
— კარგია, საპატარძლო რამდენისაა?
— თხუთმეტის!
— თხუთმეტის! მაგრამ ეს შეუძლებელია! ეს უკანონოა!
— ხომ ვერ ეტყოდით ამას საპატარძლოს მამას, რომელიც თოფით დგას კარს მიღმა?

* * *

**შევათვალიერე** ჩემი თავი სარკეში, დავდექი სასწორზე და გადავწყვიტე:
— მორჩა! საკმარისია ჩემგან ეს სასწორი და სარკე!



* * *

**ოფთალმოლოგთან:**
— აბა, რომელ ასოს გიჩვენებთ მე ახლა?
— სადა ხართ თქვენ?

* * *

— **მითხარი,** ვინ ხარ და გეტყვი, ვინ არის შენი მეგობარი!
— მე მილიონერი ვარ!!!
— მე შენი მეგობარი ვარ!!!

* * *

— **ქალებს** თავიანთი ფიზიკური განვითარების გამო თვლიან სუსტ სქესად?
— არა, გონებრივი განვითარებისა...

* * *

**ახალი** რუსული მანქანები უკვე აღჭურვილი იქნებიან არა მარტო უსაფრთხოების ბალიშებით, არამედ უსაფრთხოების ზეწრებითაც, რათა გადასაფარებელი იყოს იმ შემთხვევისთვის, თუ ბალიში არ იმოქმედებს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24